# მოგილოცავთ, ჩვენო დედებო, დებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

**КОМУНИСТИ** — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 57 (14053) | პარასკევი, 8 მარტი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

## 8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღეა!

# საბჭოთა ქალებს

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის გამო

ძვირფასო ამხანაგო ქალებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მოგესალმებათ და გულითადად გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს — ყველა ქვეყნის მშრომელი ქალების ინტერნაციონალური სოლიდარობის დღეს თანასწორუფლებიანობისათვის, მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

8 მარტის დღე ჩვენს ქვეყანაში ნათელი და სასიხარულო დღესასწაულია. მთელი საბჭოთა ხალხი პატივს სცემს თავის სახელოვან შვილ ქალებს და აღნიშნავს მათს დამსახურებას კომუნისტურ მშენებლობაში, მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეთა შექმნაში, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში.

საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მანძილზე ჩვენმა ქალებმა განვლეს რევოლუციური ბრძოლის, თავდადებული შრომის, გმირობისა და მამაცობის სახელოვანი გზა. თავიანთი მამების, ქმრებისა და ძმების მხარდამხარ ისინი თავდადებულად იბრძოდნენ საბჭოების ხელისუფლებისათვის, გმირულად იცავდნენ პროლეტარული რევოლუციის მონაპოვრებს მტრებისაგან სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების წლებში, შეუპოვრად შრომობდნენ და შრომობენ თავიანთი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სოციალიზმმა ძირეულად შეცვალა ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობა. კვალიც კი არ დარჩენილა მისი ყოფილი მონური ხვედრისა, უუფლებობისა და დამცირებისაგან, რომლებიც საუკუნეობით არსებობდა, ხოლო კაპიტალის ქვეყნებში ახლაც წარმოადგენს მშრომელი ქალის ხვედრს. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ საბჭოთა ქალი გახადა საზოგადოების თანასწორუფლებიან წევრად, შექმნა ყველა შესაძლებლობა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში ქალთა აქტიური მონაწილეობისათვის.

საბჭოთა კავშირში მატერიალური წარმოებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში ნაყოფიერად შრომობენ ჩვენი შესანიშნავი ქალები. ისინი მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვაში, ხელმძღვანელობენ საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ეწევიან მეცნიერულ კვლევას, ქმნიან ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს, მუშაობენ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ასეულ ათასობით ქალი არჩეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად, აქტიურად მუშაობენ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში. ჩვენი ქალები დედობრივი ზრუნვით ზრდიან მოზარდ თაობას, ეხმარებიან კომუნისტურ პარტიას იმაში, რომ ჩაუნერგოს ჩვენს ახალგაზრდობას მაღალი საზოგადოებრივი იდეალები და მორალური თვისებანი — ერთგულება კომუნიზმის საქმისადმი, შრომისმოყვარეობა, კოლექტივიზმი, სამშობლოს სიყვარული, შეურიგებლობა მისი მტრებისადმი — იმპერიალისტი მტაცებლებისადმი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, იმისათვის, რომ უფრო უზრუნველყოფილი და სულიერად მდიდარი ცხოვრება ჰქონდეს თვითეულ საბჭოთა ადამიანს. წლითიწლობით ფართოვდება საბინაო მშენებლობა, იზრდება კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების ქსელი, სრულყოფილი ხდება დავითარდება სახალხო განათლება. მნიშვნელოვნად უმჯობესდება ყოფაცხოვრების სამსახური, რომელმაც მშრომელი ქალი უნდა გაათავისუფლოს მძიმე საოჯახო სამუშაოსაგან.

პარტია და სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ მთლიანად აღმოფხვრან ქალთა უთანასწორო მდგომარეობა ყოფაცხოვრებაში და შექმნან ისეთი სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდიდნენ ბედნიერი დედობის შეხამებას ქალთა სულ უფრო აქტიურ და შემოქმედებითს მონაწილეობასთან საზოგადოებრივ შრომაში, მეცნიერებაში, ტექნიკასა და ხელოვნებაში.

დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში დაიწყო ჩვენმა საბჭოთა სამშობლომ მეორე ორმოცდაათი წელი. ეყრდნობიან რა მიღწეულს, ნახევარი საუკუნის ისტორიული გამოცდილებით გამდიდრებული საბჭოთა ადამიანები მთელ ფრონტზე აჩაღებენ ბრძოლას კომუნისტური მშენებლობის ტემპების დაჩქარებისათვის, თავიანთ ენერგიას, შემოქმედებითს ძალებს ახმარენ ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებას, ემზადებიან ღირსეულად შეხვდნენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს. ყველგან ჩქეფს დაძაბული მუშაობა პარტიის პროგრამითა და სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახული ამოცანების შესასრულებლად. საბჭოთა ქალებმა იციან, რომ მათს შრომასა და ენერგიაზე, ნიჭსა და სიმტკიცეზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის წარმატებანი, მისი შემდგომი წინსვლა დიდი ლენინის მიერ დასახული გზით.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მუშა და კოლმეურნე, მასწავლებელი და ექიმი, ინჟინერი და ტექნიკოსი, კულტურისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკი ქალები — ყველა საბჭოთა ქალი კვლავაც გაუფრთხილდება სამშობლოს ღირსებასა და სახელს, კეთილსინდისიერი შრომით ამრავლებს მის სიმდიდრეს, აღზრდის ბავშვებს მგზნებარე პატრიოტებად, კომუნიზმის შეგნებულ მშენებლებად.

საბჭოთა ხალხთან ერთად ქალთა საერთაშორისო დღეს აღნიშნავს მილიონობით მშრომელი ქალი საზღვარგარეთ. 8 მარტის დღეს კაპიტალისტური ქვეყნების და იმ ქვეყნების მშრომელი ქალები, რომლებიც იბრძვიან კოლონიალიზმის შედეგების ლიკვიდაციისა და თავიანთი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, ცხადყოფენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ თავიანთი უფლებებისათვის, სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, მოზარდი თაობის ბედნიერებისათვის. საბჭოთა ქალები აქტიურად უჭერენ მხარს ამ სამართლიან ბრძოლას და გადაჭრით ილაშქრებენ ქალთა უუფლებობისა და დაკაბალების წინააღმდეგ, კაპიტალისტური მონობის წყობილების წინააღმდეგ სოციალური პროგრესისათვის.

საბჭოთა ქალებს, ისევე როგორც მათს დებს მოძმე სოციალისტური ქვეყნებიდან, მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალებს აერთიანებს საერთო სწრაფვა ჩაშალონ ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ანტიხალხური გეგმები. ისინი გადაჭრით გმობენ ამერიკის იმპერიალიზმის ყაჩაღურ აგრესიულ ომს თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, მხურვალედ მიესალმებიან ვიეტნამელი მეომრებისა და პარტიზანების გმირობას და მამაცობას და უსურვებენ მათ გამარჯვებას ამერიკელ ინტერვენტებზე — ქალების, ბავშვებისა და მოხუცების მკვლელებზე, ხალხთა თავისუფლების ჩამხშობებზე.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს სწამს, რომ ჩვენი ქვეყნის ქალები კვლავაც განამტკიცებენ სოლიდარობას ყველა ქვეყნის მშრომელ ქალებთან მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის კეთილშობილური საქმისათვის.

ძვირფასო ამხანაგო ქალებო! სკკპ ცენტრალური კომიტეტი გისურვებთ ახალ დიდ წარმატებებს მთელ თქვენს საქმეებსა და კეთილ თაოსნობაში, ჯანმრთელობას, საამურ და მშვიდობიან ცხოვრებას!

სახელი და დიდება საბჭოთა ქალებს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალებს!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტი

## ქალები სსრ კავშირში

⊙ საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებული სსრ კავშირის ყველა მშრომელის ნახევარი ქალია. აქედან 7.540 ათასი ქალი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტია.

⊙ ორმოც ათასზე მეტ ქალს მეცნიერებათა დოქტორის ან კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი აქვს, 1.000-ზე მეტი ქალი პროფესორი, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი და წევრ-კორესპონდენტია.

⊙ შრომაში და ბრძოლის ველზე გამოჩენილი გმირობისათვის ჩვენს სახელოვან ქალებს გადაეცათ 1 მილიონ 400 ათასამდე ორდენი და მედალი. 91 ქალს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება, 3.800-ზე მეტი სახელგანთქმული მუშა და კოლმეურნე ქალი სოციალისტური შრომის გმირია.



8 მარტის წინადღეს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“.

ფოტო ს. კილაძისა.

# ქალი — დედა, მშრომელი, მოქალაქე

ვიქტორია სირაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე



ბუნების ფერისცვალობის ამ მშვენიერ დროს გაზაფხულზე, როცა დასაბამი ეძლევა სითბოს, სილამაზეს, სიცოცხლეს აღინიშნება ჩვენი ქალების ტრადიციული დღესასწაული. მსოფლიოს ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის როლი წლითიწლობით იზრდება და ძლიერდება.

8 მარტის ზეიმი იქცა დიდ მსოფლიო ტრიბუნად, სადაც ხდება ადამიანური ღირსებისათვის, პროგრესისათვის, მშვიდობისა და ჩვენი მომავალი თაობის ბედნიერებისათვის მებრძოლთა რიგების დათვალიერება.

ჩვენში დამკვიდრებული ჩვეულების მიხედვით ამ დღეს საბჭოთა ხალხი კანონიერი სიამაყის გრძნობით აჯამებს განვლილ პერიოდში გაწეულ საქმიანობასა და მოპოვებულ წარმატებას.

სსრ კავშირმა მსოფლიოს უჩვენა „ქალთა საკითხის“ ყველაზე სამართლიანი, ყველაზე ჰუმანური, ყველაზე სრული გადაჭრის მაგალითი. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ამბობდა: „ორ წელიწადში საბჭოთა ხელისუფლებამ ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანაში ქალის განთავისუფლებისათვის, „ძლიერ“ სქესთან მისი გათანასწორებისათვის იმდენი გააკეთა, რამდენიც 130 წლის განმავლობაში არ გაუკეთებია მთელი მსოფლიოს ყველა მოწინავე, განათლებულ „დემოკრატიულ“ რესპუბლიკას“.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა ქალების აქტიურ და თავდადებულ საქმიანობასთან.

უმაგალითო შრომითი გმირობა გამოიჩინეს ქალებმა პირველი ხუთწლედების წლებში. დიდი სამამულო ომის მძიმე დღეებში ქალები მამაკაცებთან ერთად იმყოფებოდნენ სამშობლოს დამცველთა პირველ რიგებში. ბევრმა მათგანმა კი უკვდავი სახელი მოიხვეჭა საბჭოთა ხალხის თავისუფლებისათვის და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ვის არ ახსოვს ზოია კოსმოდემიანსკაიას, ლიზა ჩაიკინას, ქართველების თინა იოსებიძის, ზოია რუხაძისა, აზერბაიჯანელ ზიბა ტარიევას, ყაზახ მაშუკ მამედოვას, ბელორუს ვერა ვირვიჩის, ლიტველ მარიამ მელნიკაიტეს და სხვა მებრძოლი ქალების უკვდავი გმირობა.

ბრძოლისა და მკაცრი განსაცდელის წლებში საბჭოთა ქალები — ჩვენი დედები, დები დგებოდნენ ჩარხებთან, ტრაქტორის საჭესთან, ხელმძღვანელობდნენ მთელ საწარმოებს, ამზადებდნენ პროდუქციას ფრონტისათვის, ზრდიდნენ შვილებს, თავიანთი თავდადებული შრომით სჭედდნენ გამარჯვებას.

ომისშემდგომ წლებში ქალების უშუალო მონაწილეობით ჩვენმა სამშობლომ უმოკლეს ვადაში მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები. საბჭოთა ხალხმა აღადგინა და შემდგომ მკვეთრად წასწია წინ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგი.

საბჭოთა ქალებმა თავიანთი გმირული შრომითა და საბრძოლო საქმეებით ბევრი შესანიშნავი ფურცელი ჩაწერეს თანამედროვეობის დიდ მატიანეში.

ამჟამად საბჭოთა ინჟინრებსა და ტექნიკოსებს შორის ქალები შეადგენენ ნახევარ მილიონზე მეტს; აგრონომთა, ზოოტექნიკოსთა, მეტყევეთა და სხვა სპეციალისტთა შორის ქალები აღემატებიან 40 პროცენტს. მრავალ ასეულ ათასობით ქალი მუშაობს საწარმოს ხელმძღვანელად, მთავარ ინჟინრად, საამქროს უფროსად, ოსტატად. ათასობით ქალი მუშაობს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, ფერმის გამგედ, ბრიგადირად და სხვ.

კულტურული რევოლუციის შედეგად ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდა ახალი საბჭოთა ინტელიგენცია, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს, თითქმის ნახევარს, შეადგენენ ქალები. ამჟამად სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა 45 პროცენტს ქალები შეადგენენ, ხოლო ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში 30,8 პროცენტს, მაშინ როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ტექნიკური სასწავლებლების სტუდენტ ქალთა რიცხვი 0,8 პროცენტია, ინგლისში — 0,9 პროცენტი, იაპონიაში — 0,6 პროცენტი.

საბჭოთა ქალი მთელ თავის ძალასა და ცოდნას ახმარდა და ახმარს განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და მეცნიერების აღორძინების საქმეს. ქალები შეადგენენ საბჭოთა კავშირში მასწავლებელთა 70 პროცენტს და ექიმთა 75 პროცენტს. ქალები წარმატებით ეუფლებიან მეცნიერებისა და ტექნიკის მწვერვალებს. 278,5 ათასი ქალი ეწევა მეცნიერულ მუშაობას. 41 ათასზე მეტს აქვს მეცნიერების კანდიდატისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

მამაკაცებთან ერთად საბჭოთა ქალები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფო მართვაში, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შორის 425 ქალია, ე. ი. გაცილებით მეტი, ვიდრე ყველა კაპიტალისტური სახელმწიფოთა პარლამენტებში ერთად. ყოველი მე-3 დეპუტატი ქალია მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში კი ქალთა რიცხვი 40 პროცენტს აღემატება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდად აფასებენ ქალების შრომასა და ნიჭს. 3828 ქალს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება, 24 ქალი ორგზის შრომის გმირია, [illegible] ქალს მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

მაღალია ქალის მოწოდება — დედა, მეუღლე, მშრომელი და მოღვაწე. დედის გრძნობა აღამაღლებს ქალს, ეხმარება მას უკეთ და უფრო ღრმად შეიგნოს თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობა, უკეთ და უფრო სრულად გამოიჩინოს თავისი უნარი შრომაში.

საბჭოთა სახელმწიფოში დიდი პატივისცემითა და მზრუნველობით არის მოსილი ქალი — დედა. 95 ათას ქალს მინიჭებული აქვს „გმირი დედის“ საპატიო წოდება, 9 მილიონ 800 ათასი ქალი დაჯილდოებულია „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლებით“.

ჩვენი ქვეყნის მოწინავე ქალები დიდ საზოგადოებრივ შრომას ეწევიან და აქტიურად მონაწილეობენ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაობაში.

წლითიწლობით იზრდება ქალთა რიცხვი კომუნისტური პარტიის რიგებში. ქალთა თანასწორობის გამოცხადება და განხორციელება სათანადო სოციალური და მატერიალური პირობების გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენენ ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ მიზნით ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად შენდება სულ უფრო მეტი საბავშვო ბაღები და ბაგები, კონსულტაციები და საავადმყოფოები, სკოლა-ინტერნატები. დიდი ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა საწარმოთა, ქსელის გაფართოებას, საზოგადოებრივ სასადილოებს, საბავშვო ბაღებს და ბაგებს. ახლა ჩვენს ქვეყანას აქვს მთელი სისტემა სხვადასხვა ორგანიზაციებისა, რომლებიც მნიშვნელოვნად უმსუბუქებენ საბჭოთა ქალებს — დედებს და დიასახლისებს ბავშვების აღზრდის საქმეს და საშუალებას აძლევენ მათ წარმატებით შეახამონ საწარმოო საქმიანობა დედის საპატიო მოვალეობასთან. ამავე დროს ბევრი, ძალიან ბევრი საკითხია მოსაგვარებელი მომავალში ყოფაცხოვრების უკეთ მოწყობისათვის. თუმცა უკანასკნელ პერიოდში საბჭოთა ოჯახის მატერიალური მდგომარეობისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის მრავალი რეფორმა გატარდა, გასულ წელს განხორციელდა 5-დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა. ყოველწლიურად სულ უფრო მეტ დახმარებას იღებენ სახელმწიფოსაგან მრავალშვილიანი და მარტოხელა დედები. მსოფლიოში პირველად საბჭოთა გლეხი ქალი უზრუნველყოფილია სახელმწიფო პენსიით. პარტიისა და მთავრობის მშრომელთა კეთილდღეობისათვის ამ უდიდესი ზრუნვის საპასუხოდ საქართველოს მშრომელი ქალები, მუშები და კოლმეურნეები თავდადებულად შრომობენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის ყველა დარგში. საქართველოს ქალები — საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები, მეცნიერები, ინჟინრები, ტექნიკოსები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები მთელ თავიანთ ძალებსა და ცოდნას ახმარენ მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომ აყვავებას.

საქართველოში 5842 ქალი მეცნიერი მუშაკია. 69 ქალს აქვს მეცნიერებათა დოქტორის წოდება, ზოგი მათგანი არჩეულია მეცნიერებათა აკადემიის წევრად და წევრ-კორესპონდენტად. საქართველოს ქალები, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები თავიანთ ძალებს და ცოდნას, მთელ თავიანთ ნიჭს ახმარენ მშრომელთა კომუნისტური შეგნების ამაღლებას, ზრუნავენ მათ ჯანმრთელობაზე, იმაზე, რომ მოზარდი თაობა აღიზარდოს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის, კომუნისტური მორალის პრინციპების განუხრელად დაცვის სულისკვეთებით.

ქართველი ქალები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვაში. ჩვენი ხალხი დიდი სიყვარულით ირჩევს საუკეთესო ქალებს დეპუტატებად ქვეყნის მმართველობის ორგანოებში.

სოციალისტურ მშენებლობაში ქალთა ფართო მასების ჩაბმის შედეგად საქართველომ ისტორიულად მოკლე ვადაში მთელი თავისი სულიერი და მატერიალური ძალების უმაგალითო გაფურჩქვნას მიაღწია. იგი გადაიქცა მსხვილი ინდუსტრიისა და კოლექტიური სოფლის მეურნეობის, მოწინავე კულტურის სოციალისტურ რესპუბლიკად.

საბჭოთა ქვეყნის მაგალითისამებრ თავდადებულად იბრძვიან და შრომობენ ქალები სოციალიზმის ქვეყნებში, ისინი მამაკაცებთან ერთად წარმატებით აშენებენ ბედნიერ, თავისუფალ ცხოვრებას.

სულ სხვაა ქალების მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში. იქ, სადაც გამეფებულია კაპიტალიზმის მგლური კანონები, სადაც საწარმოო საშუალებანი, მიწა და მისი წიაღი მილიარდერთა და მილიონერთა ხელშია, სადაც ასეულ მილიონობით ადამიანის შრომის ნაყოფს ითვისებენ ერთი მუჭა მონოპოლისტები, ხოლო მშრომელთა მასებს, ყველა მატერიალური დოვლათის შემქმნელებს სასტიკ ექსპლოატაციას უწევენ, ქალების უფლებებიც სათანადოდ შეზღუდულია. ქალთა შრომა იქ გამოყენებულია არაკვალიფიციურ და ნაკლებკვალიფიციურ სამუშაოზე, რაც მშრომელ ქალს განსაკუთრებით მძიმე მატერიალურ პირობებში აყენებს.

ყველა ქვეყნის ქალები ერთსულოვნად გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას ვიეტნამსა და ახლო აღმოსავლეთში. ქალს — დედას არ შეუძლია მშვიდად უცქიროს, როგორ ნადგურდება უდანაშაულო ადამიანთა სახლ-კარი და სიცოცხლე ვიეტნამში.

ვიეტნამელი ქალები წარმოუდგენელ მამაცობასა და სიმტკიცეს იჩენენ მტრებთან უთანასწორო ბრძოლაში; მუშაობენ ქარხნებსა და ფაბრიკებში, მინდვრებსა და პლანტაციებში, ამარაგებენ ჯარს სურსათითა და იარაღით; აღადგენენ გზებსა და დანგრეულ ქალაქებსა და სოფლებს.

მშვიდობისათვის მასობრივ მოძრაობაში ყველაზე აქტიურად დღეს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია იბრძვის. ფედერაციის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობენ საბჭოთა ქალები, ისინი დაუცხრომლად იბრძვიან სოციალისტური ქვეყნების დიდი თანამეგობრობის განმტკიცებისათვის, სხვადასხვა საზოგადოებრივ წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, ყველა ქვეყანასთან ნდობის განმტკიცებისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

მოგილოცავთ, ძვირფასო თანამემამულე ქალებო, დიდ დღესასწაულს, გისურვებთ ეს ზეიმი იყოს თქვენთვის ყოველთვის სასიხარულო და ბედნიერი.

# თათბირი მუშაობას განაგრძობს

სოფია, 7 მარტი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს დილით მუშაობა განაგრძო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირმა.

დილის სხდომას თავმჯდომარეობდა რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩაუშესკუ.

სოფია, 7 მარტი. (საქდესის სპეც. კორ.). ნაშუადღევს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი მუშაობას განაგრძობდა.

სხდომა მიმდინარეობდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დელეგაციის მეთაურის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის თავმჯდომარეობით.



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ბათუმის მე-5 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი იზოლდა სურგულაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.



სოციალისტური შრომის გმირი, ზუგდიდის რაიონის სხულუხიას სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ვინარი სხულუხია.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ქსენია სიხარულიძე.

ფოტო მ. შომიაშვილისა.

## ჩვენი სახელოვანი ქალები

### მანამდე თქვენ გვეგულებით

ნაზი კილასონია

დღეს კარგი დარი იქნება,
კარგი ამინდი იქნება,
წინამასწარა კვირტები
უფრო-რე გაიკვირტება.
ფეხი აუდგამთ ენძელებს,
ფერი ჩამოაქვთ მინდვრების.
გამომარჩევენ, მეძებენ,
არა და — გავეკიდები:
ერთს — ახალ დედას მივართმევ,
ცა რომ გახსნია ყელამდის:
თქვენით მოხატოს, მოჩითოს
საყელო მოვის პერანგი;
ერთს — გმირის დედას გაჩვენებთ,
ფიქრი რამ აწევს ლოდივით,
სჯერა და მაინც არ სჯერა,
ძნელი ყოფილა ლოდინი!..
სხვა — ლამაზ თითებს შეგახებთ,
არც ჩათვალოთ წყალობად;
ჯერ უნდა მალე გვანახოს
თავისი კარგი ქალობა.
სხვა? — აქვე, გულთან ახლოა,
თვალი მზისკენ აქვს ახრილი,
ესმის და ესმის ახლიდან
ნაგაზაფხულო ძახილი.
მარტის პირით — მოვეძახის,
მზეს გულიც უნდა ვუჩვენოთ,
მიწა, მამული, ოჯახი
როგორ ივარგებს უჩვენოდ?
სიცოცხლის ქარი ბრიალებს,
ირწევა თეთრი აკვანი
და მარტო მარტში კი არა —
ყოველდღე გვიყვარს თაყვანი!
არც მოგვაკლდება აროდეს,
მანამდე თქვენ გვიგულებით,
მანამ საჩვენოდ ხარობენ
თქვენი ძვირფასი გულები!

# ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავი საზეიმო სხდომები

## მოსკოვში

მოსკოვი. 7 მარტი. (საკდესი). დღეს, ქალთა საერთაშორისო დღის წინ, სსრ კავშირის დიდ თეატრში თავის დღესასწაულზე შეიკრიბნენ დედაქალაქის ქალები. მათ შორის იყვნენ ლენინური გვარდიის ვეტერანები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სახელმოხვეჭილი ნოვატორები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები ა. პ. კირილენკო, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ვ. ვ. გრიშინი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, რომლებსაც შეკრებილნი მქუხარე ტაშით ხვდებიან.

კრების მონაწილეებმა აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა რ. ფ. დემენტიევამ შესავალ სიტყვაში ხაზი გაუსვა, რომ ჩვენი ხალხის გამარჯვებათა მატიანეში, ბევრი სახელოვანი ფურცელია, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ქალების გმირობასა და თავდადებას, მათს დიდ წვლილს საერთო სახალხო საქმეში.

ამხ. დემენტიევამ წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საბჭოთა ქალებისადმი. შეკრებილთა სახელით მან გულითადი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს კომუნიზმის მშენებლობაში საბჭოთა ქალების როლის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის და აღუთქვა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, რომ ქალები კიდევ უფრო მეტი ენერგიით იშრომებენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

შეკრებილებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

(საკდესი).

## თბილისში

ნათელ, სასიხარულო დღესასწაულს — ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს მიეძღვნა თბილისის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც 7 მარტს გაიმართა თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური კომედიის თეატრში.

კრების პრეზიდიუმში არიან მ. მჟავანაძე, დ. სტურუა, ა. სტურჩენკო, რ. ფრუიძე, ბ. ჩოგოვაძე, შ. ჭანუყვაძე, გ. ჯავახიშვილი, მ. ბუჭავა, ა. ინაური, შ. ბიბნაძე, ო. ლოლაშვილი, რესპუბლიკის დედაქალაქის სახელმოხვეჭილი ქალები — ლენინური გვარდიის ვეტერანები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

საზეიმო კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ლოლაშვილმა. მან წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მისალმება საქართველოს ქალებისადმი ქალთა საერთაშორისო დღესთან 8 მარტთან დაკავშირებით.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. სირაძემ.

საღამოს დასასრულს გაიმართა კონცერტ-სპექტაკლი „იცოცხლეთ მრავალჟამიერ“. (საქდესი).

## გმობენ რასისტთა დანაშაულს

ნიუ-იორკი, 7 მარტი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია იმან, რომ სამხრეთ როდეზიის სმიტის ნაცისტურმა რეჟიმმა სიკვდილით დასაჯა სამი აფრიკელი პოლიტიკური პატიმარი.

აფრიკის, სოციალისტური, არაბული და მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების დელეგაციებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიაში გუშინ სასტიკად დაგმეს რასისტთა ეს დანაშაული.

ტანზანიის წარმომადგენელმა შეიტანა პროექტი რეზოლუციისა, რომელიც გამოხატავს კომისიის საერთო აზრს. პროექტში ნათქვამია, რომ ადამიანის უფლებათა კომისია მოუწოდებს უშიშროების საბჭოს დაუყოვნებლივ იხმაროს შესაბამისი ღონისძიება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საფუძველზე, რათა აღადგინოს ადამიანის უფლებანი და ძირითადი თავისუფლებიანი სამხრეთ როდეზიაში.

## ჩილელი ქალების მოთხოვნა

სანტიაგო, 7 მარტი. (საკდესი). ჩილელი ქალები ქალთა საერთაშორისო დღეს გამოვლენ ქუჩებში ლოზუნგებით, მოითხოვენ სკოლების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების რიცხვის გადიდებას, ხელფასის მომატებას.

ემზადებიან რა ქალთა საერთაშორისო დღისათვის სანტიაგოსა და ჩილეს სხვა ქალაქებში, ქალებმა მოაწყეს მარშები სოლიდარობისა, გმირ ვიეტნამელ ხალხთან, რომელიც მტკიცედ იბრძვის იმპერიალისტ აგრესორთა წინააღმდეგ.

როგორც ჩილეს ქალთა კავშირის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს ქალთა საერთაშორისო დღისათვის მზადება მიმდინარეობს ყველა კონტინენტის ქალებთან სოლიდარობისა და სოციალისტური ქვეყნების ქალებისადმი სიმპათიისა და პატივისცემის გრძნობების გამოხატვის ნიშნით.

8 მარტისათვის აპირებენ მოაწყონ საზეიმო კრება ჩილეს ეროვნულ კონგრესში, რომელზეც მიიწვიეს თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, ქალთა მასობრივი ორგანიზაციების აქტივისტები, სენატორები და სხვ.

## ბოლო მოეღოს სმიტის რეჟიმს!

ლონდონი. (საკდესი). დღეს პოლიციის რაზმები იცავდნენ ლონდონში როდეზიის წარმომადგენლობის შენობას. ქუჩაზე, სადაც წარმომადგენლობის შენობაა, დღეს გაიმართა საპროტესტო დემონსტრაციები იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ როდეზიაში თეთრკანიანთა უმცირესობის რეჟიმმა დაამყარა ტერორი და ძალმომრეობა, კერძოდ იმის წინააღმდეგ, რომ დღეს სოლსბერში დასაჯეს სამი აფრიკელი.

ინგლისის მთელმა რიგმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს განცხადებანი, რომლებშიც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ უნდა განხორციელდეს გადამჭრელი ღონისძიებანი, რათა ბოლო მოეღოს სმიტის რეჟიმს. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ მოძრაობამ მოუწოდა ინგლისის მთავრობას გამოიყენოს შეიარაღებული ძალა როდეზიაში კანონიერებისა და წესრიგის აღდგენისათვის.

„კოლონიების თავისუფლებისათვის მოძრაობამ“ მოუწოდა გამოაცხადონ საყოველთაო და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრისათვის სავალდებულო სანქციები როდეზიის წინააღმდეგ, გამოაცხადონ ყველა იმ ნავსადგურის სრული საზღვაო ბლოკადა, რომლებიც დაკავშირებულია ამ ქვეყანასთან.

## ცელქტაიპის ლენტიდან

### ● ალჟირი

## ცვლილებები მთავრობაში

ალჟირი, 7 მარტი. (საკდესი). რევოლუციურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში ახალი დანიშვნების შესახებ. ამას იუწყება ალჟირის პრესის სააგენტო. ბელყასემ შერიფი დანიშნულია ფინანსებისა და დაგეგმვის საკითხთა სახელმწიფო მინისტრად, მოჰამედ თაიები — სოფლის მეურნეობისა და აგრარული რეფორმის მინისტრად, მოჰან საიდ მაზუზი — შრომისა და სოციალურ საქმეთა მინისტრად.

მიღებულია აგრეთვე გადაწყვეტილება ევროპაში მყოფ ალჟირელთა სათვისტომოების ყოფილი კოორდინატორი მაჰმუდ გენეზი დაინიშნოს განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პარტიის ხელმძღვანელის ა. კაიდის მოადგილედ.

### ● ლიბანი

## ფუად ბუტროსი მოუწოდებს

ბეირუთი, 7 მარტი. (საკდესი). ისრაელის მთავრობა, რომელიც ცდილობს დააკანონოს დაპყრობილი არაბული ტერიტორიების ოკუპაცია, აბუჩად იგდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, არღვევს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას და თელავს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, განაცხადა ნიას სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში ლიბანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფუად ბუტროსმა.

საგარეო საქმეთა მინისტრმა მოუწოდა არაბულ ქვეყნებს განახორციელონ ღონისძიებანი, რათა წინაღუდგნენ ისრაელის ახალ მუქარას.

### ● იორდანია

## ახალი პროვოკაცია

ამანი. (საკდესი). როგორც იორდანიის სარდლობის წარმომადგენელი იუწყება, ხუთ მარტს დაახლოებით საღამოს 9 საათზე ისრაელებმა არტილერიისა და ნაღმსატყორცნის უწესრიგო ცეცხლი დაუშინეს მდინარე იორდანის აღმოსავლეთ სანაპიროს 9 კილომეტრზე მალიკ ჰუსეინის ხიდის ჩრდილოეთით.

ვიეტნამის მერიდიანზე

## პატრიოტები უტევენ

ნიუ-იორკი, (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა დღეს შეუტიეს ოთხ პროვინციულ ცენტრს, ხუთ აეროდრომს, ამერიკის ექვს სამხედრო ბაზას, ამერიკის ქვეითი ჯარის პირველი და 25-ე დივიზიების შტაბ-ბინებს და სპეციალური ჯარების ბანაკს.

გუშინ სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა ნაღმსატყორცნთა ცეცხლი დაუშინეს კამრანის სამხედრო ბაზასა და ზურგის კომპლექსს 280 კილომეტრზე საიგონის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი გვატყობინებს, ნაღმსატყორცნთა ცეცხლის შედეგად პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს ასაფრენ-დასაფრენი ზოლი. ნაღმები მოხვდა აგრეთვე ნავთობსაცავის რაიონში, რის შედეგად დაიკარგა საწვავის ნაწილი. პატრიოტთა ამ თავდასხმამდე კამრანის ყურე სამხრეთ ვიეტნამის ერთ-ერთ ყველაზე უშიშარ პუნქტად ითვლებოდა.

დანანგის სამხრეთით განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა გუშინ სანაპიროზე ბრძოლა გაუმართეს ამერიკელ აგრესორთა ქვეგანაყოფებს. ღამით პატრიოტებმა ცეცხლი დაუშინეს მარიონეტული არმიის 30-ზე მეტ საგუშაგოს და ამერიკის სამხედრო პოზიციებს სამხრეთ ვიეტნამის სხვადასხვა რაიონში.

ლონდონი, 7 მარტი (საკდესი). დღეს დილით სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა იერიში მიიტანეს პროვინციულ ცენტრ კამაუზე. იერიშის დროს დახოცეს და დაჭრეს მარიონეტული არმიის 20-მდე სამხედრო მოსამსახურე.

როგორც რეიტერის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტი იუწყება, პარტიზანებმა იერიში მიიტანეს ფანრანგის სამხედრო აეროდრომზე. ამასთან დახოცეს და დაჭრეს სამხრეთ ვიეტნამის არმიის ათობით ჯარისკაცი. ამერიკის სამხედრო წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კამრანში ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის ბანაკის წინააღმდეგ პარტიზანების იერიშის დროს დახოცეს 14 და დაჭრეს 29 ამერიკელი.

სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა რამდენჯერმე შეუტიეს ამერიკის შეერთებული შტატების არმიის მე-5 ქვეითი დივიზიის ქვეგანაყოფებს. დახოცეს და დაჭრეს 12 კაცი.

## რასაც ფიქრობენ, იმას ამბობენ

ვაშინგტონი, 7 მარტი. (საკდესი). ისრაელი არ აპირებს არაბულ ქვეყნებს დაუბრუნოს ტერიტორიები, რომლებიც ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა! დაიპყრეს გასული წლის ივნისში, განაცხადა გუშინ ტელ-ავივის ახალმა ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში გენერალ-მაიორმა რაბინმა.

არაბული სამყაროს ქვეყნების წინააღმდეგ შარშანდელი ზაფხულის შეიარაღებული აგრესიის დროს გენერალ-მაიორი რაბინი ისრაელის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი იყო, ახლა კი ამერიკის დედაქალაქში ჩამოვიდა როგორც ტელ-ავივის ახალი ელჩი.

რაბინმა სიტყვა წარმოთქვა პრესის ეროვნულ კლუბში და უფრო მეტი დრო დაუთმო ისრაელის იმ სამხედრო ტროფეების ჩამოთვლას, რომლებიც აგრესიის შედეგად იგდეს ხელთ, ვიდრე კონფლიქტის შედეგების მოწესრიგების საკითხებს. რაბინმა, რომელმაც გამოხატა ისრაელის მთავრობის პოზიცია, ყველაფერი არაბული სამყაროს ქვეყნებს გადააბრალა და განაცხადა, ისრაელი არ აპირებს რაიმე ღონისძიებათა განხორციელებას ახლო აღმოსავლეთში ვითარების შესანელებლადო.

„რატომ უნდა დააბრუნოს ისრაელმა დაპყრობილი ტერიტორიის თუნდაც ერთი სანტიმეტრი?“ — ეს საკითხი გადააქცია რაბინმა ვაშინგტონელ ჟურნალისტთა წინაშე წარმოთქმული სიტყვის მთავარ პუნქტად.

## მოიწონეს სამხედრო ბიუჯეტი

ლონდონი, 6 მარტი (საკდესი). ლეიბორისტულმა მთავრობამ, რომელსაც სამიდო უმრავლესობა ჰყავს თემთა პალატაში, მიაღწია იმას, რომ ამ პალატამ მოიწონა ახალი სამხედრო ბიუჯეტი.

1968-1969 წლის სამხედრო ხარჯები ითვალისწინებს 2.271 მილიონ გირვანქა სტერლინგს — 66 მილიონი გირვანქა სტერლინგით მეტს, ვიდრე წინა საფინანსო წელს.

# საერთაშორისო ცხოვრება

## შეწყდეს აგრესია!



ბერლინი. (საკდესი). მთელი მსოფლიოს მილიონობით ქალის სახელით ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ დაბეჯითებით მოუწოდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯონსონს გასცეს ბრძანება, რათა ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციამ შეწყვიტოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა, და მოითხოვა დაუყოვნებლივ დამთავრდეს ამერიკის შეიარაღებული ძალების ყველა საომარი მოქმედება სამხრეთ ვიეტნამში. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისათვის გაგზავნილ დეპეშაში ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია მოითხოვს აგრეთვე დაუყოვნებლივ მოეღოს ბოლო ვიეტნამელი მოსახლეობის განადგურების პოლიტიკას, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ახორციელებს.

სურათზე: ფედერაციის გენერალური მდივანი სესილ იუჟელი (მარცხნიდან მეორე) გამოდის ბერლინში გამართულ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც 1968 წლის ამოცანებს მიეძღვნა. მარცხნიდან მარჯვნივ — სამდივნოს წევრები საბინე ხაგერი (გდრ), ზუხრა რახიმბაბაევა (სსრ კავშირი).

ფოტო ადნ-საკდესისა.




ასე უსწორდებიან მშვიდობიან მცხოვრებლებს ამერიკელი აგრესორები.

ფოტო ჟურნალ „შტერნიდან“.

## [illegible] სოლიდარობას უცხადებენ ვიეტნამელ ქალებს

ბუენოს-აირესი. 7 მარტი. (საკდესი). არგენტინელ ქალთა კავშირი, რომელიც წელს აღნიშნავს თავისი დაარსების 21 წლისთავს, მხარს უჭერს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის წინადადებას ქალთა საერთაშორისო დღე — 8 მარტი გამოაცხადონ ვიეტნამელ ქალებთან სოლიდარობის დღედ.

დედამიწაზე უნდა დამყარდეს მტკიცე მშვიდობა. არგენტინელი ქალები მთელი მსოფლიოს ქალებთან ერთად მხარს უჭერენ ვიეტნამელი დების სამართლიან ბრძოლას ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ, ხაზგასმულია არგენტინელ ქალთა განცხადებაში.

მთელ არგენტინაში აგროვებენ მატერიალურ სახსრებს ვიეტნამელი ხალხის დასახმარებლად.

## მოზამბიკელი ხალხი გაიმარჯვებს

ლონდონი, 7 მარტი. (საკდესი). „პორტუგალია საომარ მოქმედებას ახორციელებს აფრიკაში იმპერიალიზმის სახელით, და იგი განაგრძობს მას მხოლოდ ნატოს წევრი ქვეყნების მხარდაჭერის წყალობით“. ასეთი განცხადება გააკეთა პრეს-კონფერენციაზე ინგლისის თემთა პალატაში მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის თავმჯდომარემ ედუარდო მონდლანემ.

„მაგრამ ჩვენ, — განაგრძო მონდლანემ, — გვაქვს ის რაც არასოდეს არ ექნებათ პორტუგალიელ კოლონიზატორებს — ხალხის მხარდაჭერა. ეს არის ჩვენი ძალის წყარო. ომი სისხლისმღვრელია, მაგრამ ვიბრძოლებთ სამხრეთ აფრიკის ხალხთა სრულ განთავისუფლებამდე“.

მონდლანემ განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს დახმარებას, რომელსაც მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტი იღებს სოციალისტური და აზია-აფრიკის ქვეყნებისაგან.

## უამინდობა მექსიკაში

მეხიკო. 7 მარტი. (საკდესი). გრიგალისებრი ქარები წვიმითა და თოვლით თავს დაატყდა მექსიკის ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ შტატებს. წინასწარი გამოანგარიშებით, მარტო ერთ სინალოას შტატში ორი დღე-ღამის განმავლობაში სოფლის მეურნეობას 15 მილიონი პესოს ზარალი მოუვიდა, წერს გაზეთი „ექსელსიორი“.

უამინდობისა და ოკეანის ძლიერი ღელვის შედეგად მექსიკის აღმოსავლეთ ნაპირთან ჩაიძირა თევზსაჭერი გემი, ორი სასეირნო იახტა ნავსადგურში არ დაბრუნებულა. დურანგოს შტატში მგზავრებით სავსე 10 ავტობუსმა გზა ვერ გაიკვლია ქარბუქში. ხაკატეკასის შტატში ადიდებულმა მდინარეებმა დატბორა გზები, ნათესები. ბევრ საავტომობილო მაგისტრალსა და რკინიგზაზე შეწყდა მიმოსვლა. დროებით შეწყდა საჰაერო მიმოსვლაც.

## მძიმე ტვირთი

### სენატორი იუჯინ მაკარტი ბრალს სდებს ჯონსონის მთავრობას

ნიუ-იორკი, 7 მარტი. (საკდესი). სენატორმა იუჯინ მაკარტიმ, რომელიც გუშინ გამოვიდა მანჩესტერის კოლეჯის (ნიუ-ჰემპშირის შტატი) სტუდენტთა წინაშე, ჯონსონის მთავრობას ბრალად დასდო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა სამხრეთ ვიეტნამში მძიმე ტვირთად აწევს ამერიკელ ხალხს. სენატორის აზრით, ჯონსონის წინადადებას 10 პროცენტით გაზარდონ გადასახადები, მოჰყვება ფასების ახალი ზრდა, რაც უწინარეს ყოვლისა ზარალს მიაყენებს ამერიკის მოსახლეობის ფართო წრეებს.

შარშან, თქვა მაკარტიმ, ფასები უკვე გაიზარდა 3,6 პროცენტით. ეს ზრდა ყველაზე დიდია 1953 წლის შემდეგ.

## კოლონიზატორთა ზარალი

დარ-ეს-სალამი. (საკდესი). პორტუგალიელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ საომარი მოქმედების ბოლო სამი წლის მანძილზე მოზამბიკელმა პატრიოტებმა მოსპეს 5 ათასი ჯარისკაცი, 500 სამხედრო ავტომანქანა და 36 თვითმფრინავი. ეს განაცხადა დღეს აქ მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის თავმჯდომარის მოადგილემ ურია სიმანგომ.

## პოლიციელებმა უნდა დატოვონ უნივერსიტეტი

რომი. (საკდესი). იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ მოთხოვა მთავრობას იტალიის მთელი რიგი უნივერსიტეტებიდან გაიყვანოს პოლიციის რაზმები, რომლებიც უნივერსიტეტებში გაგზავნეს სტუდენტთა გამოსვლებთან დაკავშირებით. სტუდენტები მოითხოვენ უმაღლესი განათლების დემოკრატიულ რეფორმას.

დღეს გამოქვეყნებულ განცხადებაში იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, რომ შემდგომში მთავრობამ ისეთი რთული საკითხები, როგორიც განათლების პრობლემაა, არ უნდა გადაწყვიტოს უხეში პოლიციური რეპრესიების გამოყენების გზით.

იტალიელ სტუდენტთა მიტინგები და დემონსტრაციები მთელ ქვეყანაში ეწყობა. მათ წინააღმდეგ გაგზავნეს პოლიციის დიდი რაზმები. შეტაკებათა შედეგად ბევრი სტუდენტი დაიჭრა, ბევრი დააპატიმრეს.

## ● გაიცანით, „თავისუფალი სამყარო“!

### რეაქციული შეხედულებების მსხვერპლნი

„ქალთა თანასწორუფლებიანობის საკითხი ამ უკანასკნელ წლებში არაერთხელ დაუსვამთ პარლამენტში, მაგრამ დღესდღეობით მდგომარეობა ისევე სავალალოა, როგორც ადრე“. ასეთ დასკვნას აკეთებს სტოკჰოლმის ბურჟუაზიული გაზეთი „დაგენს ნიუხეტერი“ ქალთა მდგომარეობის, კერძოდ მათი შრომის პირობებისადმი მიძღვნილ სტატიაში.

ფაქტები და ციფრები, რომლებიც გაზეთს მოჰყავს, სავსებით ამართლებენ ამ პესიმიზმს.

1966 წელს მრეწველობის დარგებში მომუშავე ქალების საშუალო ხელფასი მამაკაცთა ხელფასის 77 პროცენტს შეადგენდა. ისეთ ქალთა რიცხვი, რაიმე სპეციალობას რომ ეუფლებოდნენ, ძალზე მცირეა. ქალები ძირითადად „მომსახურების სფეროში“ მუშაობენ, სადაც დაბალი ხელფასის და კვალიფიკაციის ამაღლების არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს.

მამაკაცთა და ქალთა თანასწორობა ერთ-ერთი მტკივნეული და დღემდე მოუგვარებელი საკითხია შვეციის სოციალურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განაცხადა ამას წინათ რიკსდაგის დეპუტატმა მემარცხენე პარტიისაგან კომუნისტმა გუნვურ რიუდინგმა. ამ საკითხით დაინტერესებული არიან არა მარტო ქალები, არამედ მთელი საზოგადოებრიობა. ამისათვის აუცილებელია ბოლო მოვუღოთ ღრმად ფესვგადგმულ რეაქციულ შეხედულებებს, რომლებიც ზღუდავს ქალთა მონაწილეობას არა მარტო შრომით საქმიანობაში, არამედ ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაშიც.

### სილამაზის დედოფლის ტრაგედია

ყოველწლიურად ბურჟუაზიულ პრესას ეპიდემიასავით მოედება ხოლმე აჟიოტაჟი ეგრეთწოდებულ სილამაზის კონკურსის გამართვასთან დაკავშირებით, სადაც მრავალი ქვეყნის „დედოფლები“ მსოფლიოს ულამაზესი ქალის ტიტულისათვის ასპარეზობენ. გამარჯვებულს გადასცემენ გვირგვინს, კვერთხსა და ლენტს სპეციალური წარწერით. გვირგვინდადგმული სილამაზის დედოფლის ფოტოსურათებით არის აჭრელებული ჟურნალ-გაზეთები. მაგრამ ეს გარკვეულ დრომდე, ვიდრე ახალი „კერპი“ არ გამოვლინდება.

ინდურმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა „ბლიცმა“ ერთ-ერთ თავის ნომერში მკითხველებს მოუთხრო ინდოელი სტუდენტი ქალიშვილის რეიტა ფარიას შესახებ, რომელმაც შარშან სილამაზის კონკურსში გაიმარჯვა და „მის მსოფლიო 67“-ის წოდება მოიპოვა.

როდესაც სამედიცინო კოლეჯის სტუდენტი, თავმდაბალი ქალიშვილი რეიტა სილამაზის დედოფალი გახდა, განაცხადა, რომ მას დიდება არა ხიბლავს, რომ მისი ყველაზე დიდი სურვილია შინ დაბრუნდეს და კვალიფიციური ექიმი გახდეს. სამწუხაროდ, რეიტა ფარიამ არ გაითვალისწინა კაპიტალისტური ბიზნესის ძლიერება და გავლენა, რომელიც მის სილამაზეს უყურებდა როგორც მალფუჭებად საქონელს, საიდანაც უნდა ამოქაჩო რაც შეიძლება მეტი მოგება, ვიდრე „ბაზარზე ახალი საქონელი“ გამოჩნდებოდეს.

მას ელაციცებოდნენ, მლიქვნელობდნენ, პირდებოდნენ სიმდიდრესა და დიდებას. რეიტა ფარიას ქალურმა სუსტმა ნებისყოფამ ვერ გაუძლო საქმოსანთა შემოტევას და ერთ-ერთ ფირმასთან კონტრაქტი დადო როგორც მოდელიერმა და მანეკენმა.

მაგრამ არც ასე იოლია თავი გაიტანო და, მით უმეტეს, წარმატებას მიაღწიო კაპიტალისტური ბიზნესის სამყაროში, სადაც „ჯუნგლის კანონები“ მოქმედებენ. წარმოიშვა უთანხმოება, კამათი და საბოლოოდ კონტრაქტიც ჩაიშალა. ამას მოჰყვა მოგზაურობა სამხრეთ ვიეტნამში ამერიკელი ჯარისკაცების გასართობად. შემდეგ მოგზაურობა ეკვადორში, რომელსაც არაფერი არ მოუტანია, გარდა ახალი წამებისა, უსახსრობისა და პირადი შეურაცხყოფისა. რეიტა ფარია ეკვადორში ჩავიდა უგვირგვინოდ და „დედოფლის“ სხვა აქსესუარების უქონლად, რამაც მოგზაურობის მომწყობი საქმოსნების უკმაყოფილება და აღშფოთება გამოიწვია. უკმაყოფილება კიდევ უფრო გამწვავდა, როდესაც ფარიამ უარი თქვა მაყურებლის წინაშე საცურაო კოსტიუმით გამოსვლაზე. მოგზაურობა ჩაიშალა, ფარიამ ბიზნესმენებს იმედი ვერ გაუმართლა.

აღთქმული სიმდიდრე და დიდება რეიტა ფარიამ, როგორც ბიზნესმენები ამბობენ, „ვერ შეიფერა“. მიუხედავად ამისა, საქმოსნებმა სილამაზის დედოფალზე ხელი მოითბეს, რეიტას მომავალი ბედი კი მათ არ აინტერესებთ. ის, რაც მოგებას აღარ იძლევა — მანქანა იქნება ეს თუ ადამიანი — ცხოვრების არქივს ბარდება. ასეთია „თავისუფალი სამყაროს“ კანონი.

### ორასი მამაკაცი და ერთი „ქალი“

„ამას წინათ გამართულ საყოველთაო გამოკითხვაში მონაწილეობდნენ ამომრჩევლები — მხოლოდ მამაკაცები...“ შვეიცარიული გაზეთის ასეთი ფრაზა საბჭოთა ადამიანის მხოლოდ გაოცებას თუ გამოიწვევს. რაღა „საყოველთაო“ გამოკითხვაა, თუ მასში მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობენ? გასაკვირველია, მაგრამ ფაქტია. შვეიცარიაში ქალებს ჯერ კიდევ ვერ მოუპოვებიათ მამაკაცების თანაბარი პოლიტიკური უფლებები.

საყოველთაო გამოკითხვის (რეფერენდუმის) დღეებში, რომელიც შვეიცარიაში ხშირად ეწყობა, აგრეთვე პარლამენტის არჩევნების დროს შეიძლება ასეთ სურათს წააწყდეთ: ოჯახები, დიდიან-პატარიანად, მიემართებიან შენობისაკენ, სადაც ხმის მიცემა ხდება. შესასვლელთან ქალები ჩერდებიან, შენობაში კი მხოლოდ მამაკაცები შედიან.

შვეიცარიელ ქალს უფლება არა აქვს გამოთქვას თავისი აზრი თუნდაც ისეთი საკითხების ირგვლივ, რომლებიც უშუალოდ მას ეხება — დედათა და ბავშვთა დაცვა, სასკოლო განათლება, სოციალურ საჭიროებათათვის ასიგნება და სხვ. პოლიტიკურ პრობლემებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

შვეიცარიის პარლამენტში არის მხოლოდ ერთი „ქალი“ და ისიც ხმაჩაკმენდილია — ირონიულად ამბობენ საესტრადო კონფერანსიეები: ეს არის ქალის მარმარილოს ფიგურა პარლამენტის სხდომათა დარბაზში, სადაც 200 დეპუტატი მამაკაცია. თანამედროვე მსოფლიოში დარჩენილია მხოლოდ ერთ ათეულამდე სახელმწიფო, სადაც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ხმის მიცემისა და არჩევის უფლება მხოლოდ მამაკაცებს აქვთ. „მათ შორის არის ჩვენი შვეიცარიაც, მთელი მსოფლიოს დაცინვის ობიექტად რომ არის გადაქცეული“, სინანულით დასძენს გაზეთი „ჟურნალ დე ჟენევი“.

### რეკლამა და მოდა



ბალტიმორას (მერილენდის შტატი) მოდური მზა ტანსაცმლის ფირმის რეკლამა, რომელსაც სურათზე ხედავთ, ამერიკელი სარეკლამო აგენტების უახლესი იდეაა. თუ საშინელებათა ფილმები მილიონობით მაყურებელს იზიდავს, ხოლო დეტექტიური რომანები — მილიონობით მკითხველს, რატომ არ შეიძლება შემაძრწუნებელი სცენების გამოყენება რეკლამაში?

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. ვ. ფ. ოთხმეზურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ქირურგიის 11 კათედრის დოცენტი ვასილ ფირანის-ძე ოთხმეზური დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1968 წლის 6 მარტი.

# რეკორდსმენი მეხუთე ოკეანიდან



[illegible]

... ქვეშ სხვებთან ერთად მოდიოდა შუა ტანის სანდომიანი ქალიშვილი, რომელსაც ცისფერსალილეებიანი სამხედრო ფორმა ეცვა. მკერდზე უბრწყინავდა სხვადასხვაფერი მედლები და წარჩინების ნიშნები.

როგორც შემდეგ შევიტყვეთ, ეს იყო სახელგანთქმული პარაშუტისტი, ახლა უკვე ბევრისათვის ცნობილი, მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირის ათგზის რეკორდსმენი ლიუდმილა კოვალენკო...

და აი რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ მივედით ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის იმ სამხედრო ქვეგანაყოფში, სადაც მსახურობს, მუშაობს და სპორტულ ოსტატობას ეუფლება ლიუდმილა.

ამ მარტის დღეს აეროდრომის ასაფრენი ზოლის ახლოს ვსხედვართ. ქარმა ღრუბლები გაფანტა და გაზაფხულის მზე მკაფიოდ ანათებს ვერცხლისფერ მანქანებს. გუგუნებს ცა საფრენი მინდვრის თავზე. ჰაერში ადიან და დაბლა ეშვებიან თვითმფრინავები. მანქანების ფრთებქვეშ ჰაერის ტალღა მიწაზე აკრავს გაფერმკრთალებულ ბალახს. დროგამოშვებით სტვენითა და გრიალით დიდი სიჩქარით გადაგვიქროლებენ ვერცხლისფერი ფრინველები და ლაჟვარდ სივრცეს ეფარებიან. ლიუდმილა ყოველთვის თვალით აცილებს მათ.

მას სპორტული ცისფერი კოსტიუმი აცვია და, რომ უყურებთ, გრძნობთ, რომ მისი ფიქრები ახლა აქ კი არ არის, შორს ცაშია. გვესაუბრება თავშეკავებულად, აუჩქარებლად, არაჩვეულებრივ ამბებს მშვიდად და მოფიქრებულად გვიყვება.

დაიბადა დიდი სამამულო ომის მძიმე ჟამს, 1944 წელს. მას არ უნახავს თავისი მამა ვასილი, წარსულში წარჩინებული მეფოლადე. იგი დაიღუპა, სამშობლოს რომ ათავისუფლებდა ფაშისტი დამპყრობლებისაგან, და დედამისს სოფიოს მოუხდა თვითონ აღეზარდა თავისი ორი შვილი.

ზაპოროჟიეს ოლქის დაბა მოროკინოში, სადაც კოვალენკოს ოჯახი ცხოვრობდა, სახლის ახლოს დიდი მინდორი იყო. აქ ხშირად იკრიბებოდნენ სოფლის ქალიშვილები და გვიან საღამომდე მღეროდნენ. დილით კი ადგილობრივი სპორტსმენი პარაშუტისტები ამ მინდორზე თვითმფრინავიდან ხტებოდნენ. ლიუდმილა ხშირად ხედავდა, როგორ გაიშლებოდა ცაში სხვადასხვაფერი პარაშუტების გუმბათები, როგორ ეშვებოდნენ პარაშუტისტები, რომელთა შორის ქალიშვილები და ჭაბუკები იყვნენ. აბრეშუმის გუმბათქვეშ მყოფმა ადამიანებმა ისე გაიტაცეს ქალიშვილი, რომ იგი ყოველ დაშვებულ პარაშუტთან გარბოდა, მაგრამ მუდამ იგვიანებდა.

დიდიხანია ჩაესახა ოცნე- [illegible] ტით ხტომაო, მაგრამ [illegible] თხოვნა მიზანს ვერ ა[illegible]ვდა.

და ლიუდმილამ გა[illegible] უყიტა...

1963 წლის ხექტემბ[illegible] ერთ დღეს ადგილობ[illegible] სამხედრო კომისარია[illegible] განცხადება შეიტანა [illegible] ითხოვა ავიაციაში გაეგ[illegible]ნათ. ოცნება აუხდა და [illegible]ლე უკვე ჩაიცვა ცისფ[illegible] სალილეებიანი ფორმა. დაიწყო მისი ახალი ც[illegible]რება არმიაში. ჯერ მუშ[illegible]ბდა გადამწერად, ეხკა[illegible]ლიაში, მეტეოსამსახუ[illegible] ამინდის დამკვირვებ[illegible] მაგრამ ეს ვერ აკმაყო[illegible]ლებდა ქალიშვილს. და ერთხელ აქ შეხვდა [illegible]რაშუტო სპორტის [illegible] მაშინ ცნობილ მწვრთნელს, მსოფლიოს რვაგზის ჩემპიონს, პარაშუტისტთა ბევრი საერთაშორისო შეჯიბრის მონაწილეს ივანე შჩერბაკოვს.

დაიწყო ბეჯითი მეცადინეობის დღეები. დიდხანს და ყურადღებით უსმენდა [illegible] მფრინავიდან, როგორ გაანგარიშებინა დაშვების ტექნიკა, პარაშუტით მანევრირება ჰაერის ნაკადებში.

დიდი ხნით დაახსომდა პირველი გადმოხტომა. ეს იყო 1964 წლის 15 ივნისს. იგი იხსენებს, რა სწრაფად გაიკეთა პარაშუტი და დაიხურა მუზარადი, მიიმაგრა სიმაღლემზომი და სხვებთან ერთად შევიდა თვითმფრინავში. რამდენიმე წუთის შემდეგ კი მანქანა მიწიდან უკვე დიდ სიმაღლეზე იყო. იქ, ქვემოთ, ჩანდა დასაშვები ნიშანი. თვითმფრინავის კარი გაიღო. პარაშუტისტებმა რიგრიგობით მიყოლებით გადახტომა იწყეს. აი ისიც მიადგა კართან, ჩაიხედა ქვევით. იქ უკვე ჩანდნენ პარაშუტების გუმბათები. მის გვერდით იდგა მწვრთნელი შჩერბაკოვი. — აბა, მიდი, — უთხრა მან. ქალიშვილი გადახტა თვითმფრინავიდან და მაშინვე მის ზემოთ გაიშალა პარაშუტის გუმბათი. იქვე ახლოს კი ეშვებოდა მწვრთნელი, რომელიც მას მიწამდე მოჰყვებოდა. ასე შედგა ქალიშვილის პირველი შეხვედრა ცასთან.

პირველს მოჰყვა გადმოხტომათა სერია. ყოველი გადმოხტომა უფრო გაბედული და ზუსტი გამოუდიოდა. მალე ისწავლა გადმოხტომა და დაშვება, ჰაერში გაუშლელი პარაშუტით ფრენა, სხვადასხვა ფიგურის შესრულება. ფანდებთან გამოუმუშავდა თავისი სპორტული სტილი. მალე ლიუდმილა საოლქო შეჯიბრების მონაწილეა. სამი ვარჯიშით მეორე ადგილი დაიკავა. შემდეგ იგი ჩვენი ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების შეჯიბრების მონაწილე გახდა. იქვე შეიყვანეს ნაკრებ გუნდში. ლიუდმილა მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის ქალთა სპარტაკიადაში. უკვე გამოცდილი სპორტსმენი რომ გახდა, 1966 წ. დეკემბერში მონაწილეობას იღებს შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების პირველობაზე. ეს შეჯიბრება ტრიუმფალური გახდა ლიუდმილასათვის. ამ შეჯიბრებაში ორი კვირის მანძილზე მან ზედიზედ დაამყარა ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს ექვსი რეკორდი და მკერდი დაიმშვენა ექვსი ოქროს მედლით.

ამას დაემატა კიდევ ერთი სიხარული. მოსკოვში დომოდედოვოში ემზადებოდნენ საჰაერო დღესასწაულისათვის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად. და ლიუდმილა მოსკოვში გაიწვიეს. 50 პარაშუტისტი ქალიშვილი ჯგუფურ გადმოხტომას ასრულებს მოსკოვსახლო აეროდრომზე დღესასწაულის დროს. ერთ-ერთი პარაშუტის გუმბათის ქვეშ მოსკოვის ცაში კოვალენკოა. დავალების მკაფიოდ შესრულებისათვის იგი დააჯილდოეს მედლით „მამაცობისათვის".

ლიუდმილა განაგრძობს თავისი ოსტატობის დახვეწას. იმავე წლის შემოდგომაზე სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში ოთხი საკავშირო და მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

— ძალიან ძნელია სიტყვით გადმოგცეთ, — გვიპასუხებს შეკითხვაზე ლიუდმილა, — თუ რას გრძნობ ჰაერში. როგორც მთამსვლელს, რომელიც თუ ერთხელ მაინც ასულა მწვერვალზე, იქ შემდგომ ასვლას ვეღარ მოაშლევინებ, ისე პარაშუტით გადმომხტარ ადამიანს ვეღარ წაართმევ ცას. ყოველი გადმოხტომა რაღაც ახალს გადაგიშლის. იქ, შორს ცაში, გრძნობ მშობლიური ბუნების — მინდვრების, ტყეების, მთების, მზით განათებული ღრუბლების სილამაზეს, შემდეგ კი ძლიერ განიცდი სპორტული გამარჯვების სიხარულს. ძნელია, როცა ადგილზე დგახარ, და ადვილია, როცა უკვე გამოცდილება გაქვს, გიყვარს და იცი ის საქმე, რომელსაც შენს ძალღონეს ახმარ.

აი ასე მიდიოდა თავისი მამაცური შრომით პატივისა და დიდების კვარცხლბეკამდე ათი მედლით დაჯილდოებული, მსოფლიოს რეკორდსმენი ქალიშვილი. მკერდზე პარაშუტისტის ნიშანი აქვს, რომლის თასაზე ბრწყინავს ციფრი 650 — მის გადმოხტომათა რაოდენობა. მაგრამ ლიუდმილას ამაზე წერტილი როდი დაუსვამს. ჩვენ კიდევ შევიტყობთ და მოვისმენთ მის შესახებ. იგი კიდევ არაერთხელ „დაძრავს" ადგილიდან ძველ რეკორდებს, თავისას და სხვისას, საბჭოთა და მსოფლიო რეკორდებს. და ქვლავ ავა სახატიო კვარცხლბეკზე. ეს, ჩანს, ძალიან მალე იქნება.

... საღამოვდებოდა. ჰორიზონტისაკენ შორს გადაიწია მზემ. ცას იისფერი მოედო. დადგა თბილისში ჩვენი გამოფრენის დრო. გულთბილად დავემშვიდობეთ მამაც ქალიშვილს, ვუსურვეთ პირადი ბედნიერება, სპორტული წარმატებანი, მივულოცეთ მომავალი დღესასწაული — ქალთა საერთაშორისო დღე. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ცაში ვიყავით, იმ ფართო და მშვიდობიან, მაღალ და თვალუწვდენ ცაში, საიდანაც ლიუდმილა ასრულებს თავის მამაცურ საქმეებს და სახელს უხავებს დიად საბჭოთა სამშობლოს.

ვლ. გინზბურგი,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქი.

• • •

სურათებზე: პარაშუტისტი რეკორდსმენი ლ. კოვალენკო; ასე ამშვენებს რეკორდსმენის მკერდს შეჯიბრებებში მოპოვებული მედლები (ქვემოთ).

ფოტო ავტორისა.



[illegible]

მაქსიმ გორკი.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის იშვიათი ელემენტებისა და მათი შენაერთების ქიმიური ტექნოლოგიის ლაბორატორია მუშაობს მადნების კომპლექსური გადამუშავების შესწავლაზე.

სურათზე: მეცნიერი თანამშრომელი ბ. ლაშხი იშვიათი ელემენტების ქიმიური ანალიზის დროს.

ფოტო ე. რაზმაძისა.

ქართველი დედასაც კაცად ჰხდის და ამიტომ „დედაკაცს" ეძახის, როგორც მამას — „მამაკაცს" — ასე შეუნახავს დიდი ღირსება დედისა ჩვენს ენას.

ილია ჭავჭავაძე.

ქალი ბურჯი და ქვაკუთხედია, როგორც კერძოდ ოჯახის, ისე საზოგადოებისაც, მთელი მისი ქვეყნის, მისი სამშობლოს... ნეტავ იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყამს.

აკაკი წერეთელი.

# ბედნიერი სიბერე

კარზე ფრთხილად დააკაკუნეს.

— შეიძლება, პატივცემულო სოფიო? — გაისმა წკრიალა ხმა.

სოფიო წამოდგა, კარი გააღო.

— გილოცავთ, პატივცემულო მასწავლებელო!

— გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს! — ერთხმულით შემოეხვივნენ პატარები, იის კონები გაუწოდეს.

— იაც მოსულა! — გაიღიმა სოფიო ისიდორეს ასულმა. — კარგია, სურნელოვანია ეს იის თაიგულები, მაგრამ თქვენ მაინც ვერ შეგედრებათ, თქვენი თვალები უფრო ლამაზად ხრის მოხატული. თქვენი ელფერი უფრო ნაზი და მიმზიდველია, თქვენ ყველაზე ლამაზი ყვავილები ხართ! — თქვა სოფიომ და სათითაოდ გადაკოცნა პატარები. — გმადლობთ, გმადლობთ ყურადღებისათვის! თქვენ მართლაც არ ივიწყებთ თქვენს მასწავლებელს.

— არც დაგივიწყებთ, არასოდეს არ დაგივიწყებთ! — შესძახეს ბავშვებმა.

54 წელი იმუშავა სოფიო ქურხულმა მასწავლებლად. დაუფასეს შრომა ამაგდარ ქალს, დააჯილდოეს ლენინის ორდენით, მიანიჭეს დამსახურებული მასწავლებლის წოდება, იგი გარემოსილია ბავშვების და ხალხის სიყვარულით. სოფიოსაც უყვარს ბავშვები, ისე ძალიან უყვარს, რომ უიმათოდ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია. და ერთხელაც გასწია სკოლისაკენ.

— დაგვიბრუნდით, ისევ უნდა გვასწავლოთ, პატივცემულო? — შემოეხვივნენ ბავშვები.

— არა, ისე შემოგიარეთ, ვერ გავძელი უთქვენოდ. თქვენც მეწვიეთ ხოლმე, არ დამივიწყოთ.

— არ დაგივიწყებთ, პატივცემულო სოფიო, — შეჰპირდნენ ბავშვები, და აკი არც ივიწყებენ, ხშირად ნახულობენ მხცოვან პედაგოგს, აძლევენ კითხვებს. სოფიოც ხალისით უხსნის, ასწავლის და ელის, რა შედეგს გამოიღებს მისი შრომა.

— ხუთიანი, სოფიო მასწავლებელო! — მოირბენს მასთან გახარებული ბავშვი და დღიურს გაუწვდის. ბავშვის სიხარული ედება სოფიო ისიდორეს ასულს. ეს ხუთიანი ხომ მასაც ეკუთვნის. და ასეა ყოველდღე, ერთი მიდის მასწავლებელთან, მეორე ბრუნდება მისგან. ისევ სჭირდებათ პატარებს სოფიო ქურხულის ცოდნა, გამოცდილება, ისევ გრძელდება მისი შრომა, გულს სიხარულით უვსებენ პატარები.

თელავის მესამე საშუალო სკოლის ყოფილი მასწავლებელი სოფიო ისიდორეს ასული ქურხული ტკბება თავისი შრომის ნაყოფით და სიხარულით ეგებება 8 მარტის დღესასწაულს.

გ. გიორგანაშვილი.

თელავი.




მასწავლებლის მოლოდინში.

ფოტოეტიუდი ს. კილაძისა.

# გმირი ქალიშვილი

ერთი თავი დოკუმენტური მოთხრობიდან



როცა ჩაის პლანტაციაში დალიმ შეიტყო მეორე ლენინის ორდენით საქართველოს დაჯილდოება, დიდად გაიხარა. იმ დღის შემდეგ თბილისშიც იყო, საგნებიც ფრიადზე ჩააბარა პროფესორებს. შინ დაბრუნებული სულ ჩაის ფართობებში ტრიალებდა, შარშანდელ მდგომარეობას იხსენებდა. მან და მისმა რგოლის წევრებმა ხომ მკაცრ გვალვებს ხელოვნური რწყვით აბრუნებინეს პირი? ჩაის ყოველგვარ ამინდში კრეფდნენ. ამიტომაც იყო, რომ მისმა კოლმეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა ჩაის კრეფის გეგმა.

ახლა აპრილის ამ პირველ დღეებს მიწა საოცრად გაუღვივებია, ველ-მინდვრები, ხეხილის ბაღები და ტყეები ნაირნაირი ფერების სამოსელში ჩაუსვამს და მიდამოები მწვანედ აუხასხასებია. მალე ჩაის ფოთლის კრეფაც გაჩაღდება.

ამგვარ ფიქრებში მყოფმა დალი წივწივაძემ ახალი სასიხარულო ამბავი შეიტყო: სამ აპრილს დილით რადიომ გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და მეცნიერების მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ. შემდეგ დაჯილდოებულთა გვარების გადმოცემა დაიწყო. რაოდენ დიდი იყო დალისა და მისი ოჯახის წევრების აღფრთოვანება, როცა გმირთა შორის ისიც გამოაცხადეს.

მას შემდეგ რამდენიმე თვემ განვლო. ერთ დროს რომ „ციცქნა" გოგონას ეძახდნენ, ახლა იგი გმირი ქალის საპატიო სახელს ატარებს და არათუ წლიური გეგმა, არამედ ნაკისრი ვალდებულებანიც უკან მოიტოვა. ამრავლეს დოვლათი და ბარაქა, ამრავლეს და კიდევაც დაიმსახურეს მოწინავეთა სახელი. დალი თბილისში მიდიოდა მეექვსე კურსზე გადასასვლელი დარჩენილი საგნების ჩასაბარებლად. განსაკუთრებით აწუხებდა ერთი საგანი, ფილოსოფია. მაგრამ მალე ყველაფერი კეთილად დამთავრდა, გამოცდა ფრიადზე ჩააბარა.

ეს სიხარული ჯერ კიდევ არ განელებოდა, რომ მეგობრებმა უთხრეს, ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი თბილისში, სპორტის სასახლეში მეორე ლენინის ორდენს გადასცემს საქართველოსო. ამან სულ ააღელვა დალი. ის ღამე უძილოდ გაატარა. დილით ადრე მკერდზე გმირის ნიშანი გაიკეთა და საპატიო სტუმრის შესახვედრად ზღვა ხალხს შეერია რუსთაველის პროსპექტზე.

საღამოს კი დალი სპორტის სასახლეში, საზეიმო სხდომის პრეზიდიუმიდან გაჰყურებდა სტუმარს. ისმენდა მის ალალმართალ სიტყვებს. მასში ხომ სიმღერასავით ჟღერდა ქართველი ერის სადიდებელი სიტყვები! ამ თბილმა გრძნობებმა კულმინაციურ წერტილს მაშინ მიაღწია, როცა სტუმარმა თავისი სიტყვის დასასრულს საქართველოს ზეაღმართულ დროშას თავისი ხელით დაამაგრა მეორე ლენინის ორდენი და იგი გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძეს.

იმ წუთში, თითქოს ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდაო, მთელი დარბაზი ფეხზე დადგა და ტაშის ძახილმა და სიმღერამ ჭერი მაღლა ასწია. ტაშის გუგუნზე დალი კი არ წამოდგა, წამოფრინდა და ასე ეგონა, სიხარულის ზღვას ქეჩოში მოექცაო, მის ტალღებს სულ მაღლა და მაღლა მიჰყავდა.

ამ აღელვებული გრძნობით მიაშურა დალიმ მშობლიურ რაიონს. როგორც ყოველთვის, ჩასვლის დღესვე მოინახულა ჩაის პლანტაციები და ამხანაგებს მიმართა:

— გოგონებო, ახლა ჩვენ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში უნდა წავიდეთ!

— იქ რა გვინდა?

— დღეს ხომ პოლიტმეცადინეობა გვაქვს, თემა — ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავია. მუზეუმში ძველი ბოლშევიკების მოგონებებია.

ჩაუარეს ყოფილი სამასწავლებლო სემინარიის შენობას, გადაჭრეს ბაღი და მუზეუმის კარებს მიადგნენ. შიგ შესულნი არ იყვნენ, რომ დალიმ წამოიძახა:

— ბაბუა ივანე, ბაბუა ივანე, სახლში გვეგონეთ, უნდა გამოგვევლო, თქვენ კი აგერ ყოფილხართ! — გოგონები ისე შემოეხვივნენ მოხუცს.

— ამათი ბრალია, არ მომასვენეს, გინდა თუ არა, ჩაგვაწერინე ძველი რევოლუციური ამბებით, იმას კი არ კითხულობენ, შემიძლია თუ არა. სათქმელი, მოგეცეთ ლხენა, ბევრი მქონდეს, მაგრამ გახსენება არ გინდა? ღონე არ გინდა? — და ივანემ დალი ახლო მოიხმო.

— ისე, ჩემო დალიკუნა, არაფერს არ იღებ, არაფერს, არა!? ბრეჟნევიც ნახე, გოგო?

— ვნახე რომელია, ხელიც ჩამოვართვი...

მუზეუმის დირექტორმა სიტყვა მისცა ივანეს. მოხუცის ნაამბობი ახალგაზრდებმა დიდი გულისყურით მოისმინეს...

ოცდაოთხი დეკემბრის დილაა. ცაზე ღრუბლების ნატამალიც არა ჩანს. ახლად ამოსულ მზეს თავისი სხივები დაუფრქვევია დედამიწაზე. ქალაქის შემოსასვლელში მსუბუქი მანქანების გაბმული ხმა გაისმა. მანქანებიდან ზოგს თავი და ზოგს ხელები გამოუყვია, დამხვდურებს ესალმებიან, ქუჩებში გაუკრავთ ლოზუნგები:

— „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო!"

— „გეგებებათ, შვილებო, თქვენი მშობლიური აკვანი!"

და აი გუგუნით, ხმაურით ასი მანქანა შემოგრიალდა ქალაქ წულუკიძეში.

ესენი წულუკიძის რაიონიდან წასული წულუკიძელთა გამორჩეული შვილები არიან.

ისინი ბევრნი არიან, ხუთასზე მეტი. ჩამოსულან, რათა თავიანთ თანამემამულეებს შეხვდნენ, ერთხელ კიდევ მოინახულონ და ფეხი დაადგან იმ მიწას, სადაც მათი ცხოვრების აკვანი დაირწა.

აი ქარხნელები საშა წულუკიძის საფლავისაკენ დაიძრნენ. რას არ იხსენებენ, რას არ ეკითხებიან ერთმანეთს. ყველანი ძველი ნასახლარის ახლოს, სასაფლაოს შემოსასვლელში, საშას ძეგლთან აღმართული ტრიბუნის წინ დგანან. ერთი ახალგაზრდა, გამხდარი, კაფანდარა გოგონა, რომელსაც თმა მხრებზე ჩამოშლია, გულის ფანცქალით უვლის გარს ძეგლს. მერე შედგა და სულ გაქვავდა, მზერა საშას ძეგლისკენ გადაიტანა. ცრემლი მოერია. ამ დროს მასთან დალი მივიდა, ხელი მოხვია და იქვე მდგომ ივანეს წარუდგინა.

— საშა წულუკიძის შვილიშვილია!

— რაო? საშას შვილიშვილიო?!

— ჰო, ბაბუა, ჰო!

— რას ამბობ? — და გადაეხვია. — ამაზე უკეთესი და სანატრელი დღე რა მექნება, საშას შვილიშვილს საკუთარი თვალით ვხედავ! ჩემდა სამარცხვინოდ, აღარ ვიცოდი, საშას თუ შვილიშვილი ჰყავდა! — შემდეგ ხელი შეუშვა და ჰკითხა:

— ქმარშვილი გყავს?

— კი, ბაბუა ივანე, ქმარი აგერ არის, ჩემთან, ორი შვილი მყავს!

ელენემ თავისი მეუღლე წარუდგინა ივანეს.

— ბიჭი გყავს?

— ორივე გოგოა.

— ბიჭი რომ გყოლოდა, უსათუოდ საშა დაარქვი!

— კი, ბაბუა, კი. ერთ გოგოს ბებიას სახელი, ვერიკო დავარქვი. აბა მათს სახელს როგორ მოვშლი ჩემს ოჯახში? აქ რომ მოვდიოდი, გული საგულეს აღარ მიდგებოდა. წულუკიძეში პირველად ვარ. აქ, დილით, დალიმ ის ადგილები დამათვალიერებინა, სადაც ჩემი ბაბუა საშა დაიბადა, სადაც მისი მამის გიგო წულუკიძის ნასახლარია. ბევრი ვიტირე, ვენაცვალე ამ მიწას, ამ ქარხნებს. მაგრამ ვაი რომ მშობლებიც არ მახსოვს, სულ პატარა ვყოფილვარ, ისინი რომ... გავიზარდე ბაბუას მეუღლის ძმის მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის ოჯახში, მისმა ცოლმა თამარმა დედობაც და ბებიობაც გამიწია, მშობლიური გრძნობა მისგან გავიგე რა იყო. ახლა მე და ჩემი ქმარიც მეცნიერი მუშაკები ვართ. დღეიდან სულ ხშირად ვიქნებით თქვენთან! — და უცებ შედგა, ირგვლივ მყოფთ გახედა, ივანესა და დალის ცრემლი მორეოდა. ივანემ ცრემლი შეიმშრალა და ელენეს მიუბრუნდა:

— გოგონი, ჩვენო სიცოცხლევ, აი ახლა მიტინგი დაიწყება, გამოდი და თქვი ორიოდე სიტყვა?

— არა, ბაბუა, არ შემიძლია, ყელში რაღაც მაწვება, ვერ შევძლებ, მაპატიეთ, საშა ბაბუას ნიჭი ამ საქმეში არ გამომყვა.

მიტინგი დაიწყო, ხალხს ცოტა გულს მოეშვა, შეიძრნენ, ერთმანეთს გადაულაპარაკეს, თუმცა ლენას თვალს არ აშორებდნენ. ტრიბუნაზე მასპინძლებს სტუმრები სცვლიან. იხსენებენ ბავშვობას, სილარიბეს, გაჭირვებას, ქალაქებითა და ქოშებით სკოლაში სიარულს, პირველ თოვლს, ჭალებს, კავით ყანების ხვნას, მწყემსობას, მოჯამაგირეობას, ქირაში სხვისი ყანების თოხნას და კიდევ რას არა...

...როდესაც დალი თბილისიდან დაბრუნდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიაში მონაწილეობის შემდეგ, დობილები ჩაის ფართობში დაუხვდნენ. ხელსაყრელ ამინდს მონატრებულ დალის არც მაისმა და არც ივნისმა არ უჩვენა კარგი პირი, სულ წვიმდა და სულ ღრუბლებით იყო დატვირთული ზეცა, მაგრამ გმირმა გოგონამ თავისი რგოლის წევრებს შთაუნერგა გმირული სული და ისინიც თავიანთი მეთაურისებური შრომითი შემართებით განაგრძობდნენ უამინდობასთან ბრძოლას.

იმ დღეებში, კულტურის სახლის ტრიბუნიდან, ახალგაზრდობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე დალიმ კვლავ ამცნო ყველას თავისი რგოლის დიდი წარმატების ამბავი. მეორე დღეს კი ამ დღის აღსანიშნავად პირადად მან ორასორმოცდაათი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

კოლმეურნეობამ ასათი პროცენტით შეასრულა გეგმა.

ამ გამარჯვებამ მათ შრომისა და ბრძოლის კიდევ ახალი ენერგია შემატა. ათ აგვისტოს რგოლმა ნაკისრი ვალდებულება — ოცდაათი ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა. თვით დალიმ ვალდებულება ექვსი ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფით უკან მოიტოვა. სულ წინ და წინ მიიწევს, კიდევ ბევრ ტონას შემატებს მთელ რაიონში მოწინავე კოლმეურნეობას, რომელიც ამაყად ატარებს მგზნებარე რევოლუციონერის ალექსანდრე წულუკიძის სახელს.

ამიტომ არის, რომ ისინი ძალიან ხშირად იყრიან თავს საშას საფლავზე, მისი ძეგლის წინ. აი იმ დღესაც, თხუთმეტ აგვისტოს, ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა საფლავზე. თავი მოეყარათ ადგილობრივ მცხოვრებ ძველ ვეტერან ბოლშევიკებს, თბილისიდან ჩამოსულ ძველ რევოლუციონერებს, რომელთა რევოლუციური აკვანი აქ, ხონში დაირწა.

მაშინ იქვე მდგომმა ივანემ დალის გახედა, დალიმ კი რაღაც იგრძნო, წინ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაღლობზე შეიმართა და განაცხადა:

— დიახ, აქ, საშას საფლავთან მრავალი თაობის წარმომადგენლები მოსულან და მისი სიკვდილის წინა წუთებში, გულიდან ამოხეთქილი მისი სიტყვები — „იდეა მაინც გაიმარჯვებსო" მოუგონებიათ. დღესაც ვიგონებთ მას, ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო, და მე მთელი თაობის წარმომადგენლების სახელით ფიცსა ვდებ, რომ ამ დიდი ადამიანის, ჩვენი სასახელო წინაპრის სახელობის რაიონი და მისი სახელობის ჩვენი კოლმეურნეობა არასოდეს არ შეარცხვენენ საშას სახელს და სულ მუდამ წულუკიძისებური რევოლუციური შემართებით იშრომებენ ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ. ვფიცავ, ვფიცავ და კიდევ ვფიცავ მის უკვდავ სახელს, რომ წულუკიძელები სულ ზეაღმავალი გზით ვივლით შრომის ფრონტზე.

დალიმ ერთხელ კიდევ გახედა საშას ძეგლს და მერე იქვე თავშეყრილ თავის რგოლის წევრებს შორის ჩადგა. მას იმ დღეს ახალი სასიხარულო ჰქონდა: ვალდებულების შესრულების შემდეგ კიდევ ერთი ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა, სულ კი შვიდი ტონა. განა სასიხარულო და აღსაფრთოვანებელი არ იყო ეს ამბავი?

მიტინგი დამთავრდა. მისი მონაწილენი სახლებისკენ რომ მიდიოდნენ, ეგონათ, თითქოს დალის მგზნებარე სიტყვები დროშასავით მიუძღოდათ წინ, ცხოვრების დიდ გზაზე.

სიმონ წვერავა.

ალექსანდრე ბეგაშვილი

## დედა

სიცოცხლის დიდი წყაროა დედა.
სიკეთის დიდი წყაროა დედა.
დედა! — ლექსია ალალად თქმული,
დედის თვალებში მზის ღიმილს ვხედავთ,
დედის მკერდში ძგერს სამშობლოს გული.

დედა! —
ვიტყვით და გულში ინათებს,
დედის სახელი მზით ნაქარგია.
დედა — სინათლე,
დედა — სიმართლე,
დედა — ყოველი, რაც კი კარგია!

დედა! — მიქელფარე გული და თვალი,
ზრუნვით რომ დასცქერს ცხოვრების
დუღილს...
მოხუცი დედის ხელები მჭკნარი
შვილს მთელი ქვეყნის სიცოცხლედ უღირს.

დედა! — მუდამჟამ გასახარელი,
შვილებს ალერსით გვათბობს, გვანაზებს,
დედაზე ტკბილი და საყვარელი
არაფერია ამ ქვეყანაზე!

დედა! — მამულის დროშის მკერავი,
დედა ზრუნვაა, დედა — ფერება...
ისეთი ლექსი ვერ თქვას ვერავინ,
დედას რომ მართლაც შეეფერება!

მზე დედამიწას ხანამ დაჰნათის,
ჰყვაოდეს ჩვენი მხარე — ედემი.
აწ და მარადის, აწ და მარადის
აკვნებს არწევდნენ ქართლის დედები!

ეს ორი სიტყვა: დედა, აკვანი
არის სიმბოლო ერის ბედისა.
დედა ვადიდოთ, მას ვცეთ თაყვანი,
ეს სადღეგრძელო იყოს დედისა!

დედა! — მუდამჟამ გასახარელი,
შვილებს ალერსით გვათბობს, გვანაზებს.
დედაზე ტკბილი და საყვარელი
არაფერია ამ ქვეყანაზე!

# ომგადახდილი დედები



სურათი ცეცხლოვანი წლების სამახსოვროდ არის გადაღებული. მაშინ ეს ქალიშვილები ფაშისტ დამპყრობელთაგან ახლად განთავისუფლებულ უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში იყვნენ, ომმა, მისმა გრძელმა და ციცაბო გზამ მიიყვანა ისინი ქუთაისიდან ბუდაპეშტამდე.

მოდით, ახლოს გავიცნოთ თითეული მათგანი, ავამეტყველოთ ქართველი ქალის ვაჟკაცობის ფურცლები.

სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ) რაისა ბინიაურიშვილი, თინა ნანეიშვილი და ნინო ჯიჯეიშვილი, დგანან — ნინო ქორქოსაძე, ნინო ფუტკარაძე და ფატი მარგველაშვილი.

ლენინური კომკავშირის აღზრდილი ეს ექვსი და კიდევ ერთი ქუთაისელი ქალიშვილი ეთერ სულავა ომის პირველსავე წელს თავისი სურვილით წავიდნენ საბჭოთა არმიაში.

არც ერთი არ იყო ექიმი და ექთანი, და არც ერთს არ მიუღია სამობილიზაციო უწყება.

სულ სხვა იყო მაშინ მათი ცხოვრების გზები. თინა ნანეიშვილმა სწორედ იმ წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი და განაწილების მიხედვით მასწავლებლად უნდა დაეწყო მუშაობა ზნაურის რაიონში. დანარჩენები კი ზოგი სტუდენტი იყო და ზოგიც კიდევ საშუალო სკოლის ახლად კურსდამთავრებული. ამ შვიდეულიდან მხოლოდ ნინო ფუტკარაძე მსახურობდა.

კომკავშირელი გოგონები 46-ე არმიის მეკავშირეთა ერთ-ერთ ნაწილში ჩარიცხეს.

შორს დარჩა სავარდო და სამაისო ქუთაისი, უდრტვინველი ცხოვრება, უმანკო ფიქრები და ოცნებები. ყველა ფიქრის მეუფე გახდა ორი სიტყვა — სამშობლო და გამარჯვება.

ქუთაისელი ქალიშვილები პირველად კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში მონაწილეობდნენ და სანიმუშოდ ასრულებდნენ სარდლობის საგანგებო დავალებებს.

მტერზე გამარჯვების რწმენით იარეს დობილებმა ოფლით, ცრემლითა და სისხლით მორწყულ გრძელ გზებზე და ძმებთან ერთად განიცადეს ომის საშინელებაც და გამარჯვების სიხარულიც.

პირველი საბრძოლო ნათლობა დობილებმა მაშინ, მიიღეს, როცა ეშელონი კრასნოდარიდან ფრონტის წინა ხაზისაკენ დაიძრა. გზაში სტანიცა ლენინგრადსკაიასთან სვასტიკიანმა სვავებმა ჩვენი სამხედრო მატარებელი დაბომბეს, ბევრი დაიღუპა. დიდი იყო მსხვერპლი და მწუხარება, მაგრამ იყო სიხარულიც, როცა ჩვენმა მეზენიტეებმა ალმოდებული „მესერშმიტი" მიწაზე დაანარცხეს, ხოლო სხვებს პირი აბრუნებინეს.

მერე მილეროვო. ქალაქი და რკინიგზის კვანძი. აქ ყოველი მტკაველი მიწა ხელიდან ხელში გადადიოდა. აქ, საბრძოლო დავალების შესრულებისას, როცა დოკუმენტები გადაჰქონდა, თინა ნანეიშვილი თავში მსუბუქად დაიჭრა.

დობილებმა მონაწილეობა მიიღეს მილეროვოს, კრასნოდონის, დნეპროპეტროვსკის, დნეპროძერჟინსკის, კრივოი როგის, ნიკოპოლის, ნოვი ბუგის, კაზანკის, ნიკოლაევის, გმირ ქალაქ ოდესის, ქალაქისა და ციხე-სიმაგრის იზმაილის განთავისუფლებაში.

ეს ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე.

მერე რუმინეთში — გალაციისა და ბრაილოვის, ბულგარეთში — შუმენისა და რუსეს, ვარნისა და ბურგასის, უნგრეთში — სეკეშფეხერვარისა და ბიჩკეს განთავისუფლებაში, ბუდაპეშტის აღებაში, იუგოსლავიაში — ბელგრადის განთავისუფლებაში, ავსტრიაში — ვენის აღებაში.

როცა გამარჯვების სალუტების ექო გაისმა, დობილები ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე, ბრატისლავის ახლოს იყვნენ.

სამშობლოს ჯილდოებით მკერდდამშვენებული დაუბრუნდნენ ისინი ქუთაისს. თითეულ მათგანს მიღებული აქვს უმაღლესი მთავარსარდლის 18 მადლობა და თითეული მათგანი დაჯილდოებულია მრავალი მედლით.

აქ შეიძლებოდა საუბარი დაგვემთავრებინა, მაგრამ სწორი არ იქნებოდა არაფერი გვეთქვა ამ პატრიოტი ქალების სახელოვან ძმებზე, ოჯახებზე.

თინა ნანეიშვილის სამი ძმა, აგრეთვე სიძე, მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. უფროსი ძმა გიორგი პოლკოვნიკი იყო, მომდევნო მიხეილი მაიორი, ხოლო უმცროსი ანტონი პოდპოლკოვნიკი. სიძე მიხეილ ზაგრებინი ახლა გადამდგარი გენერალ-მაიორია და ქობულეთში ცხოვრობს.

ნინო ფუტკარაძის, ეთერ სულავას, ფატი მარგველაშვილის ძმებიც ფრონტზე იყვნენ.

საბედნიეროდ დობილებიც და მათი ძმებიც, ყველანი გადაურჩნენ მრისხანე ომს. მხოლოდ ნინო ქორქოსაძის ძმა დაიღუპა კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში.

სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ქართველი ქალები დიდი ხანია მშვიდობიან ფრონტზე შრომობენ, დაოჯახდნენ, შვიდივე ქმარშვილიანია. ზოგს შვილიშვილებიც ჰყავს.

ახლა ომგადახდილი დედები თავიანთ შვილებს, ჩვენს ნორჩ ცვლას მოუთხრობენ წარსული ბრძოლების ამბავს, ასწავლიან პატრიოტიზმს, სამშობლოს სიყვარულს.

შ. ჯავახაძე.

## ჩემი სიხარული



ფოტოეტიუდი შ. ბენბიურისა.

ეთერ ჯიშკარიანი

## შავთვალა საჩუქარს მპირდება

რვა მარტი,
რვა მარტი,
რვა მარტი, —
ჩურჩული დაიწყეს კვირტებმა,
წვიმაა, ხან მზეა, ხან ბარდნის,
შავთვალა საჩუქარს მპირდება.

თეთრ ფთილებს, ნოხებად დაფენილს,
ნიავი მხარულით მიაპობს,
ბაგეზე შემომრჩა სათქმელი,
გავბედავ, თვალებით გიამბობ,

ხელს მიქნევს ლურჯთვალა აპრილი,
ყელზე მძივს ისხამენ ბუჩქები,
ნუ დგახარ წამწამებდახრილი,
ვიაროთ დათოვლილ ქუჩებით.

ვუსმინოთ ჟღურტულა ჩიტუნებს,
ცელქ ნიავს, ფარფატაფრთებიანს,
თქვენს ვაჟკაცობაზე ჰყვებიან...
და ჩვენს ჭრელ კაბებზე ჰყვებიან...

ატმებმა ტოტები დახარეს,
თეთრ ტყემლებს ვებუტბუტები,
ეს დღე შენც თუ არ მახარე,
იცოდე გაგებუტები.

მარტივით მეცვლება ფიქრები,
წვიმაა, ხან მზეა, ხან ბარდნის,
ჩურჩულით ტკბებიან კვირტები:
რვა მარტი,
რვა მარტი,
რვა მარტი.

## ფიფქი

### ეტიუდი

ციდან რომ დავეშვი, შიშმა, გაურკვეველმა შიშმა ამიტანა. როგორ დავიბადე, როგორ გავჩნდი ამ ქვეყანაზე, ვერ გავიგე... ან რისთვის, რატომ?.. არავის უთქვამს ჩემთვის. დედის მკერდში ჩახუტება ვერც კი მოვასწარი, ისე მოვწყდი... თოვლის ფანტელებში გავერიე. ზოგი დიდი იყო, ზოგიც პატარა, ჩემსავით მიმქრალი... სად მივდიოდი, რა მელოდა, არც ეს ვიცოდი. მაგრამ ირგვლივ ყველაფერი ისეთი ლამაზი, მიმზიდველი და მომხიბვლელი იყო, რომ არაფერზე არ მინდოდა ფიქრი. მხოლოდ ერთი სურვილით ვიყავი შეპყრობილი: დავმტკბარიყავი ამ მომჯადოებელი ბუნების ცქერით, დავმტკბარიყავი და განმეცადა ამქვეყნიური სიამენი.. თუნდაც წუთიერად, ოღონდ განმეცადა... ეს კია, ქარი, ზენა ქარი — ჰო, ასე ეძახდნენ მას ჩემი დობილები — თავის ნებაზე დამატარებდა, ხან საით გამაქროლებდა, ხან საით... მაგრამ ეს ქროლვაც კარგი იყო, რაღაცნაირად კარგი...

• • •

ქარმა დიდხანს, ძალიან დიდხანს მატრიალა უსაზღვრო სივრცეში. დავფარფატებდი გზააბნეულ ფარვანასავით. დედამიწას კი, თეთრად გადაპენტილ დედამიწას, თანდათან ვუახლოვდებოდი.

ღმერთო ჩემო, რა თავბრუდამხვევი სურნელება, სინოტივე და ძალა აქვს მიწას!

აი სადაც არის შევეხები მას ჩემი ნაზი, სუსტი სხეულით, შევეხები და გადავიქცევი მისი ქათქათა საფარველის ნაწილად...

ვინ იცის, სად მოვხვდები, რომელ მხარეში...

გზაში ყური მოვკარი, ჩემი დობილები ჰყვებოდნენ მიწის ამბავს. თურმე ბავშვებს, ანცებს და მალხაზებს ძალიან ვუყვარვართ. აგვიღებენ, შეგვაერთებენ, შეგვკრავენ გუნდებად თავიანთ პაწია მუჭებში და, ჰაიდა... გუნდაობას გააჩაღებენ. ან ჩვენგან თოვლის პაპას გააკეთებენ. ანდა ვინმე ჭაბუკის ხელით ცისფერთვალება ქალიშვილის, ჰო, ცისფერთვალება, რადგან ჩემი დედის — ცის ფერი მიყვარს, ბეჭებზე ან მხრებზე აღმოვჩნდებით. მაგრამ მალევე გულისწამღები სიცილ-კისკისით, მხიარული ყიჟინით მოგვიცილებენ თავიდან და თავიანთ გზას განაგრძობენ... ჩვენ კი ფეხით გაგვთელავენ, ზედ შეგვადგებიან... ან ვინმე უბედურის საფლავს სუდარად გადაეფარებით... არა, არ მინდა ასეთი ხვედრი! სიხარული, სიყვარული, ბედნიერება მწყურია! დედამიწისკენ ხომ ამიტომ მოვისწრაფოდი...

ასე ვფიქრობდი, და არ ვიცოდი, ბედი რას მიმზადებდა, სად მიმაგდებდა. და აი გამოჩნდი შენც... შავი პალტოთი, აწეული საყელოთი, თავშიშველი. ხუჭუჭა, შევერცხლილ თმებში თოვლის ფანტელები გიბრჭყვიალებდნენ. მოდიოდი დინჯად, მოკლე ნაბიჯებით, შენს ფეხთ ქვეშ ახალ თოვლს ღრაჭაღრუჭი გაჰქონდა. ის იყო, ძირს უნდა დავვარდნილიყავი, რომ შემჩერდი, და გულზე დაგეცი... შენ ვიღაცას ღიმილით, დამატყვევებელი ღიმილით მიესალმე, ხელი ჩამოართვი, მოიკითხე. მე შენს გულზე ავცახცახდი, ავთრთოლდი... და შენ ეს ვერ გაიგე, ვერც კი შემამჩნიე...

შენს მკერდზე განაბული წამოგყევი ყველგან, სადაც კი წახვედი. რამდენჯერ წაიბორძიკე, რამდენჯერ გადაუხვიე გზიდან... ხიდთან რომ შედექი და მოაჯირს დაეყრდენი, კინაღამ გული გამისკდა შიშისაგან. შევყვირე კიდეც, მაგრამ ჩემმა ხმამ შენამდე ვერ მოაღწია. შემეშინდა ყინულებში არ ჩავვარდნილიყავი. მე შენი გულის სითბო მიზიდავდა და არ ვიცოდი, რომ ეს სითბო ჩემთვის საბედისწერო გახდებოდა, სიცოცხლეს მომისწრაფებდა. თავგზადაკარგული უფრო მაგრად მოგეკარი... შენი გულის ძგერა შემომესმა... სუნთქვა შემეკრა, თავბრუ დამეხვა... ბედნიერება, ჯერ განუცდელი ბედნიერება ვიგრძენი. მივხვდი, ახლა კი მივხვდი, რომ შენი სიყვარული, შენი გულის სიმხურვალე მათრობდა, ძალას მართმევდა. შენ კი მაინც ვერ მამჩნევდი, და მე ვფიქრობდი — აი ახლა შემნიშნავს, ახლა მაინც შემნიშნავს-მეთქი, მაგრამ შენ ვერ შემნიშნე, ვერ შემნიშნე მაშინაც კი, როცა შენს გულზე დავდნი... ჩემი არსებობა მხოლოდ მაშინ შეიტყე, როდესაც ოთახში შესვლისას შენი გულიდან იატაკზე ჩამოვცურდი და შენმა მეუღლემ ალიაქოთი ატეხა...

• • •

— მამა, მამიკო! — შესძახა ნანამ შენი დანახვისთანავე და შენსკენ გამოქანდა.

— რა არის, გოგი, რამდენჯერ უნდა გითხრა, ოთახში ასე თოვლიანი ნუ შემოდიხარ-მეთქი. პალტო გარეთ ვერ დაიბერტყე? იატაკს შეხედე, გუბე დააყენე. რაში გენაღვლება ჩემი ჯანი. ნანა, ნანა, მოიშვი მამაშენს, ჯერ არ გინახავს? რას ჩამოჰკიდებიხარ. ჩვარი მოიტანე, გესმის, ჩვარი... და იატაკი აწმინდე!

ჩაგიშხამა მეუღლემ პატარა შვილთან შეხვედრის სიხარული.

— ეს ხომ თოვლის ფიფქია, დედა! — წამოიძახა გოგონამ და კისერზე უფრო მაგრად შემოგეხვია.

შენ მამობრივი სინაზით მოიშორე კისერზე შემოჭდობილი ბავშვის მკლავები და მეუღლეს მიუბრუნდი:

— ჰო და, მერე რა მოხდა ასეთი, ირინე, ეს ხომ მართლაც თოვლის ფიფქია, დამდნარი თოვლის ფიფქი და მეტი არაფერი... პირველი თოვლის ფიფქი, სუფთა, ფაქიზი...

უჯერხულად დაიწყე თავისმართლება.

— როდის აქეთ შეიყვარე თოვლის ფიფქები? — დაცინვით მოამართა მან.

— ბავშვობიდანვე, ირინე, ბავშვობიდანვე... განა ფიფქზე წმინდა და სპეტაკი, ფიფქზე მშვენიერი კიდევ რამეა ამ ქვეყნად?!

თქვი შენ და ხმა გაგებზარა, სახეზე ჩრდილმა გადაგირბინა, წუთით ჩაფიქრდი, შემდეგ თვალები გაგიბრწყინდა... ეს რა?... თვალებში ნამი თუ თოვლის, დამდნარი თოვლის ფიფქი ჩაგიდგა?...

გიყურებდი გულდათუთქული, ცრემლად დაღვრილი, ვისმენდი შენს სიტყვებს და ვფიქრობდი: მე შენ ბავშვობა გაგახსენე, მე შენი ტკბილი მოგონება, შენი ცრემლი ვარ... და ესეც მიხაროდა...

ირინე ერთხანს გაოგნებული, გაკვირვებული შემოგცქეროდა...

— ჰმ... — მხრები აიჩეჩა, გოგონას ჩვარი ჩამოართვა, მომიახლოვდა, შემეხო და...

— ვაიმე!., ერთი კი შევკივლე და დავიკარგე შენი მეუღლის ხელში დამუჭული ჩვრის ნაოჭებში.

ეს შეკივლება არავის გაუგიათ...

• • •

კიდევ მოვა ზამთარი, მეც ახლად დავიბადები, თოვლის ფანტელებს ისევ მოვყვები, კეთილ ადამიანს სადმე შევხვდები, შეუმჩნეველი აღარ დავრჩები...

ლაურა ძაძამიძე.

## რაც დაგვამშვენებს

### 1969 წლის მოდა

ხშირად მოგისმენიათ რომელიმე თქვენს ნაცნობზე ან ახლობელზე ასეთი გამოთქმა — გემოვნებით იცვამს, სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს მისი ჩაცმულობა. რას გულისხმობენ ასეთ თქმაში, იქნებ ძვირფას ტანსაცმელს?

მოხდენილად ჩაცმა ის საიდუმლოებაა, რომელიც უნდა იცოდეს ყველა ქალმა. მით უმეტეს, რომ ჩვენს ჩაცმულობას, ჩვენს გარეგნობას დიდ ყურადღებას აქცევენ მამაკაცები. ზოგჯერ ისინი მარტო შენიშვნებს არა სჯერდებიან და ცდილობენ ეს საკითხი საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად გახადონ.

ამ დღეებში რედაქციაში მოვიდა უცნობი მამაკაცის წერილი. ავტორი აღშფოთებას გამოთქვამს მოდით გატაცებული ქართველი ქალების მიმართ, რომლებსაც აცვიათ თავიანთ ასაკთან შედარებით ძალიან მოკლე კაბები, აქვთ აჩეჩილი თმა, რაც მათ კი არ ალამაზებს, არამედ ამახინჯებს, ის იმედს გამოთქვამს, რომ კვლავ იხილავს დარბაისელი გარეგნობის ნაწნავებიან, გრძელკაბიან ქალებს.

ასეთ წერილებს ბევრს გვიგზავნიან ჩვენი გაზეთის მკითხველები, და ჩვენც გვინდა ვუპასუხოთ მათ, ამავე დროს დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქალების ცნობისმოყვარეობა, გავაცნოთ მათ 1969 წლის მოდის ძირითადი მიმართულება.

ამ მიზნით ვეწვიეთ საქართველოს მოდელების სახლის მხატვრულ ხელმძღვანელს ლელი ხვედელიძეს. იგი ახლახან დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც მიმდინარეობდა საკავშირო განხილვა მომავალი წლის ტანსაცმლის მოდისა.

როდესაც საუბარი ჩამოვარდა მოდების საერთო მიმართულებაზე, მან აღნიშნა:

— ჩვენი სახლის შემოქმედებითი კოლექტივი ეცნობა სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მოდის მიმართულებას და ქმნის ისეთი სახის ტანსაცმელს, რომელიც მოუხდება ჩვენს თანამედროვე ადამიანს. ჩვენ ვთავაზობთ, ვაცნობთ მომხმარებელს ამა თუ იმ ტანსაცმლის მოდელს. ამავე დროს ვურჩევთ როგორი გარეგნობის ქალს მოუხდება ესა თუ ის მოდელი. არჩევანი კი უკვე მომხმარებელზეა. მან ობიექტურად უნდა განსაზღვროს თავისი გარეგნობა, ტანის მოყვანილობა, სიარულის მანერები, სტილი და მოდიდან აიღოს ის, რაც მას მოუხდება.

ხშირად ლაპარაკობენ ხოლმე ქართულ ტანსაცმელზე. ასეთი ტანსაცმლით დიდი ხანია არავინ დადის (თუ არ ვიგულისხმებთ ქართულ ეროვნულ ტანსაცმელს, რომელსაც კონცერტებზე იცვამენ). მოდა საერთაშორისოა. ევროპული ტანსაცმელი დიდი ხანია დამკვიდრდა ჩვენში და ასე რომ ამ თემაზე საუბარი, ვფიქრობთ, ზედმეტია. მხოლოდ არ უარვყოფთ ქართული ეროვნული სტილის გამოყენებას ტანსაცმელში, ეს უკვე გაფორმების საკითხია.

1969 წლის მოდის ძირითადი მიმართულება იგივე რჩება. კვლავ მოდაშია სპორტული სადა, მოხერხებული, თავისუფალი კაბები. ეგრეთწოდებული „ახალგაზრდობის“ სტილი კვლავ ძალაში რჩება, მოდაშია კაბის სილუეტები „ტრაპეცია“, „სარაფანი“, ძირითადი ყურადღება ექცევა ქსოვილს, მის ფერს.

რაც შეეხება კაბის სიგრძეს, ამან დიდი დავა გამოიწვია როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში. ჩვენ არ ვიზიარებთ დასავლეთის ქვეყნების მოდელიერების მიერ რეკომენდებულ მუხლის თავის ზემოთ 20 სანტიმეტრით დამოკლებულ კაბებს. ჩვენ მართებულად მიგვაჩნია, რომ 20 წლამდე ქალიშვილებმა, თუ მათ ლამაზი აღნაგობის სწორი ფეხები აქვთ, ჩაიცვან მუხლის თავამდე სიგრძის კაბები. ახალგაზრდა ქალებმა, თუ მათ ასეთი სწორი ფეხები აქვთ, ჩაიცვან მუხლის შუა ხაზამდე სიგრძის კაბა. მსუქანმა ქალებმა კი მუხლები უნდა დაიფარონ.

რაც შეეხება ტანსაცმლის ქსოვილსა და ფერებს, კვლავ რჩება ბუკლესებრი, აგრეთვე გლუვ ზედაპირიანი მაუდის მსგავსი ქსოვილები, ტილო, ჩითი, ხავერდი და სხვ.

ფერები შედარებით უფრო რბილი, კოლორიტულად შეფარდებულია ქსოვილებთან. მოდაშია წითელი, ლურჯი და სხვა ფერები:

რაც შეეხება თმის ვარცხნილობას, დიდიხანია მოდიდან გადავარდა აჩეჩილი ევროთწოდებული „ნაჩოსი“, ამჟამად ქალები ატარებენ მოკლედ შეკრეჭილ თმას. მოდაში შემოვიდა მსხვილი ტალღისებური ვარცხნილობა.

1969 წლის მოდისათვის დამახასიათებელია ტანსაცმლის ფართო ასორტიმენტი. არის მრავალფეროვანი სპორტული, დასასვენებელი ტანსაცმელი, ქვედატანები, შარვლები, კოსტიუმები, გამოსასვლელი, სამეჯლისო კაბები.

ასე თანდათანობით იკიდებს ფეხს ტანსაცმლის მომავალი წლის მოდა. მოდელიერების მიერ ჩანაფიქრი მალე ხორცს შეისხამს და მას უკვე ვნახავთ ჩვენს თანამედროვეთა ჩაცმულობაში.

ლარისა ხუბულური.



□

სასიამოვნო სიურპრიზი მოამზადა ქალთა საერთაშორისო დღისათვის — 8 მარტისათვის საქართველოს საყოფაცხოვრებო სამინისტროს თბილისის მოდების სახლმა (დირექტორი გ. ორთოიძე).

დღესასწაულის წინ აქ მოეწყო მოდელიერებისა და მხატვრების მიერ შექმნილი ტანსაცმლის, თავსამკაულისა და ფეხსაცმლის ახალი 130 ნიმუშის განხილვა.

სურათებზე თქვენ ხედავთ მხატვარ-მოდელიერ ლ. ავალიანის მიერ შექმნილი ქართული საქორწინო კაბის თავსამკაულს (მარცხნივ) და ქალის ახალი ტანსაცმლის ერთ-ერთ მოდელს (მარჯვნივ); ზემოთ: საბავშვო ტანსაცმლის ახალი ნიმუში.

ფოტო ს. კილაძისა.





## ზრუნვა — დედებს

ცხაკაიას რაიონში დიდ დახმარებას უწევენ მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს. გასულ წელს დედებს დახმარების სახით მიეცათ 54.842 მანეთი.

ფოცხოს კოლმეურნეობის წევრმა, გმირმა დედამ მ. მირცხულავამ, რომელმაც შობა და აღზარდა 14 შვილი, სახელმწიფოსაგან დახმარების სახით მიიღო 8.717 მანეთი.

ხორშელი კოლმეურნე, 12 შვილის დედა შურა ჭითავა ყოველთვიურად სახელმწიფოსაგან იღებს 42 მანეთს და 50 კაპიკს. დღემდე მას მიღებული აქვს 750 მანეთი.

სახელმწიფოსაგან დახმარება ეძლევათ მრავალშვილიან დედებს — სოფელ მენჯის მცხოვრებ თინა მულაძეს, ფოცხოელ მაში ჭაავას, ნოხირელ ლეილა სირიას, ლეძაძამელ შურა არზიანს, ლენა მირცხულავას, ზანელ ნადია ანთიას და სხვებს.

ს. კუჭავა.

## სტუმრად ტოკიოში

გუშინ ტოკიოში გაიხსნა იაპონიის ღია ჩემპიონატი კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. სხვებთან ერთად შეჯიბრებაზე მიიწვიეს საბჭოთა სპორტსმენები.

ჩვენი გუნდების შემადგენლობა ასეთია: კლასიკურ ჭიდაობაში — ს. რიბალკო, რ. კაზაკოვი, რ. რურუა, გ. საპუნოვი, ვ. იგუმენოვი, ო. ბლიაძე, ნ. იაკოვენკო; თავისუფალ ჭიდაობაში — ნ. ალბარიანი, ა. ალიევი, ა. აბდულბეკოვი, ზ. ბერიაშვილი, ი. შახმურადოვი, ბ. გურევიჩი, შ. ლომიძე.

## ფეხბურთის ამბები

ბუდაპეშტში გაიმართა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი „ვაშაშისა“ და პორტუგალიის „ბენფიკას“ გუნდები. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

ევროპის ჩემპიონთა თასის ექვსგზის მფლობელმა მადრიდის „რეალმა“ საკუთარ მოედანზე პირველ მეოთხედფინალურ მატჩში დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის „სპარტა“ 3:0.

## სტარტი და მისი შედეგები

სამი ტურის შემდეგ საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე წყალბურთელებმა ერთი დღით შეისვენეს და დღეს კვლავ ჩაებმებიან ბრძოლაში.

რა შეიძლება ითქვას გუნდების დღევანდელ მდგომარეობაზე?

ჩემპიონატის დაწყებამდე პროგნოზები ცოტა როდი იყო. წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ ისეთ აღიარებულ კოლექტივებს, როგორიც არის სსრ კავშირის ჩემპიონი — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი, მოსკოვის „დინამო“, „ტორპედო“ და ზოგიერთი სხვა გუნდი, მაგრამ ეს ვარაუდები როდი გამართლდა. დღეს სატურნირო ცხრილის სათავეში დგას ლენინგრადის „ბალტიკა“, რომელმაც სამიდან სამივე შეხვედრა მოიგო და ექვსი ქულა აქვს. სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და მოსკოვის „დინამოს“ გუნდებმა თითო მატჩი წააგეს და ოთხ-ოთხი ქულით მეორე და მესამე ადგილზე იმყოფებიან. სამ-სამი ქულა აქვთ მოსკოვის „ტორპედოს“, სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „დინამოს“ გუნდებს, აგრეთვე ბაქოს კაფ-ს, თბილისისა და ლვოვის დინამოელთა მდგომარეობა ჯერჯერობით არასახარბიელოა. მათ მხოლოდ ორ-ორი ქულა აქვთ. სამიდან სამივე მატჩი წააგეს ვოლგოგრადის სპარტაკელებმა.

◆

### ოლიმპიური კალენდარი

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დაამტკიცა მექსიკის ოლიმპიური ტურნირის მოწყობის წესი. 16 გუნდის მონაწილეობით ოთხი წინასწარი ჯგუფის მატჩები შედგება 13-18 ოქტომბერს. ერთი დღის შემდეგ მოეწყობა მეოთხედფინალური შეხვედრები, ხოლო 22 ოქტომბერს მეხიკოსა და გვადალახარაში შედგება ნახევარფინალური მატჩები. ფინალური შეხვედრა გაიმართება 26 ოქტომბერს მეხიკოში.

## დროშა — სამუდამოდ

ქუთაისი (საკ. კორ.). სასიხარულო ცნობა მიიღეს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა ქუთაისის საქალაქო კავშირში. მასობრივ ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში მოპოვებული წარმატებებისათვის ქუთაისის ფიზკულტურულ ორგანიზაციას სამუდამოდ მიეკუთვნა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ქალაქს ზედიზედ ექვსჯერ ჰქონდა მიღებული.

უფრო ადრე კი ქუთაისის ფიზკულტურულ ორგანიზაციას სამუდამოდ გადაეცა საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოს დროშა.

## კიდევ ერთი ქულა...

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

ლიდერმა — ლენინგრადის „სპარტაკმა“ სატურნირო ცხრილში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა, მეორეჯერ დაამარცხა რიგის ვეფ-ი 83:62 (38:42). მატჩი სვერდლოვსკში ადგილობრივი „ურალმაშისა“ და კაუნასის „ჟალგირისის“ გუნდებს შორის დამთავრდა „ურალმაშის“ გამარჯვებით ანგარიშით 81:76 (38:33). სსრ კავშირის ჩემპიონმა — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდმა მოუგო ბაქოს „ბურევესტნიკს“ 82:76 (46:44).

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში თამაშობდნენ ადგილობრივი „ბურევესტნიკისა“ და ტარტუს „კალევის“ გუნდები. თამაშის პირველი ნახევარი თბილისელებმა მოიგეს — 28:27, მაგრამ მეორე ტაიმში სტუმრებმა გარდატეხა შეიტანეს ბრძოლაში და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც — 63:55.

დღეისათვის ლენინგრადის „სპარტაკს“ 28 თამაშიდან 21 ქულა აქვს, თბილისის „დინამოსა“ და კიევის სკა-ს — 26 თამაშიდან — თვრამეტ-თვრამეტი ქულა.

კომუნისტის სპორტი

## გოლო სვეტზე

• 

## საინტერესოა, რომ...

□ ძველი ტრადიციისამებრ, რომელიც 2.300 წლის წინათ არსებობდა, დღესაც საბერძნეთის სოფელ მომოტისხაში წელიწადში ერთი დღე ქალთა დღედ ითვლება.

ქალთა დღეს ქმრები ცოლებს ემორჩილებიან. ქალები დასეირნობენ სოფლად, მიირთმევენ ყავას, ეწევიან თამბაქოს, თამაშობენ ბანქოს, ქმრები კი აკეთებენ სადილს, რეცხავენ სარეცხს, კერავენ, უვლიან ბავშვებს.

□ იაპონიაში ერთ დროს თითქმის არ იყვნენ გაუთხოვარი ქალები. თუ ქალი თავისით არ გათხოვდებოდა, მას საქმროს შეურჩევდა მთავრობა. ქალს კი უფლება არა ჰქონდა უარი ეთქვა ამ არჩევანზე.

□ საზღვარგარეთ გამოიანგარიშეს, რომ დიასახლისი, რომელიც უვლის ოთხი სულისაგან შემდგარ ოჯახს, თავის სიცოცხლეში საშუალოდ აკერებს 20 ათას ღილს, 18 ათასჯერ კემსავს წინდებს, 55 ათასჯერ ალაგებს ლოგინს, ამზადებს 60 ათასამდე სადილსა და ვახშამს, ასხამს 100 ათას ჭიქა ჩაისა და ყავას, ასუფთავებს და რეცხავს 15 ტონა ბოსტნეულს, მილიონამდე თეფშს. ამას გარდა ის რეცხავს და აუთოებს 220 ათას კვადრატულ მეტრ თეთრეულს.

□ მანუს კანონებში (ძველი ინდოეთი) ნათქვამია: „ბავშვობისას ქალი უნდა ემორჩილებოდეს თავის მამას, ახალგაზრდობაში — თავის ქმარს, ქმრის სიკვდილის შემდეგ — თავის ვაჟებს“.

□ ფრანკლინის გადმოცემით, ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელებში ეთიკის უხეშ დარღვევად ითვლებოდა, თუ სიდედრი დაელაპარაკებოდა, ანდა შეხედავდა სიძეს. ისინი ზურგშებრუნებულნი ესაუბრებოდნენ ერთმანეთს.

□ აღმოსავლეთში ასეთი უაზრო ჩვეულებაც კი არსებობდა. ქალის საფლავი მთელი ერთი მეოთხედით უფრო ღრმად უნდა გაეთხარათ მამაკაცის საფლავთან შედარებით — ქალი სიკვდილის შემდეგაც არ არის ღირსი მამაკაცის დონეზე იყოს.

## ტელევიზია

**8 მარტი**

10.35 — კონცერტი — დაე მუდამ იყოს დედა!“ (ეძღვნება ქალთა საერთაშორისო დღეს), გადაცემაში მონაწილეობენ ბავშვები, 11.15 — „ბავშვებს ცხოველთა შესახებ“ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 11.30 — მხატვრული ფილმი „ადამიანი ამფიბია“, 13.40 — ერთი ცხოვრების ისტორია — სოციალისტური შრომის გმირი მ. ჩიქვანაია (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 16.25 — გადაცემათა პროგრამა, 16.30 — „მათით ამაყობს ქვეყანა“. ეძღვნება ქალთა საერთაშორისო დღეს (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.15 — ახალი ამბები, 17.25 — მუსიკალური გასართობი პროგრამა „ეძღვნება ქალებს“, 17.55 — სპორტსმენი ქალები, 18.30 — „ტელეპანორამა“, 19.00 — მუსიკალური კინოკომედია „შეხვედრა მთაში“, 20.20 — ახალი ამბები, 20.40 — „ივანანა“ იღებს სტუმრებს — ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გადაცემა, 22.10 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.15 — „ცისფერი ეკრანის“ ფოსტა (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — მინიატურების სატელევიზიო თეატრი — „ცამეტი სკამი“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

**რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ**

## მხატვრის ღიმილი



— ვისთვის აგროვებ, ქალო, ამდენ სარეცხს?
— 8 მარტისათვის, ჩემო კარგო.



ღმერთო, რა ნელა გადის დრო.

ნახატი ა. ერაძისა.

### იუმორი

## დოდო, სულიკო ანუ პირიქით

...ოთახში რომ შეეიდა, იმწამსვე ააბრიალა გაზქურა. საკუთარი ხელით გაკეთებული იმერული კუპატები ტაფაზე დაყარა და ის იყო წინსაფარი უნდა შემოეკრა, რომ ზარმაც დარეკა. დოდოს თავზარი დაეცა. „ალბათ სულიკოა“, გაიფიქრა, კარი გამოაღო და ზღურბლზე მართლაც მეუღლის ზორბა ფიგურა გამოჩნდა. არაფერი უთქვამს, პალტო გაიძრო და დოდოს მიაჩეჩა, ტახტზე წამოწვა და „დაისი“ ისე ძლიერად მოქაჩა, რომ სიგარეტი განახევრდა.

— რაშია საქმე, სულიკო, გენაცვალე, რამე უსიამოვნება ხომ არ შეგხვდა? — ალერსიანად ჰკითხა დოდომ.

— დიდი არაფერი, სამსახურში საპენსიოდ გამზადებული ორი ლაწირაკი შემომელანძღა!... კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ხველა აუვარდა. გაბრაზებულმა სიგარეტზე იყარა ჯავრი და საფერფლეში ჩაფშვნა.

— ნუ ეწევი ამდენს, გენაცვალე! ხომ ხედავ, გწყენს. რა დაგრჩათ ამ კვამლის ყლაპვაში, ნეტავ? — ახლა უკვე მზრუნველ კილოზე გადავიდა დოდო.

— მიხედე შენს საქმეს! — იღრიალა სულიკომ და თვალები დაქაჩა, — მშიერი ვარ, რა გაქვს სადილად?! — ეს ბოლო სიტყვები არ იყო უბრალო შეკითხვა, ქუხილს უფრო წააგავდა.

დოდო შეშინდა და თითქმის ჩურჩულით თქვა:

— შენ რომ გიყვარს, ჩემი ნახელავი კუპატები...

— მომკლა ამ კუპატებმა, წვნიანი მომენატრა, გესმის თუ არა?!

— ჩაი დააყოლე და წვნიანიც ის იქნება, — ისევ წაიჩურჩულა დოდომ და მაგიდას სუფრა გადააფარა.

— ჩაი დედაშენს გადაასხი თავზე, რომ გეხტუმრება! — მძვინვარებდა სულიკო.

ეს კი უკვე მეტისმეტი იყო.

— ბოლოს და ბოლოს მეც ვმუშაობ, მეტის გაკეთება ვერ მოვასწარი, ეგეც არ იყოს, დღეს რვა მარტია, ერთ დღეს მაინც მომასვენე და შენს საქმეს მიხედე, სადილი მოამზადე, იატაკი გაწმინდე, შარვალი გამიუთოვე. ვითომ რა, სულიკო სილოვანოვნას არ ეკადრება დიასახლისობა? — ახლა უკვე დოდო ყვიროდა. — ბოლოს და ბოლოს ქმარმაც ხომ შეიძლება დაკარგოს მოთმინება.

ვ. მეტრეველი.

გაზეთ „კომუნისტის“ მორიგი ნომერი გამოვა კვირას, [illegible] მარტს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.


კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 03165 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.